

URMYCEGUWUCCO ታጋለፀን የሠሞቦ **ԵՐԻՐԵՐ ՉՀ**ԽԵՐԵՍ **amJლ**3

13 Ი3ᲚᲘᲡᲘᲦᲐᲜ ორჰან ფამუქი ფესი **ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ** ጋሉመንሮ 8 Ლህሐበ

ფასი: 50 თეთრი **№**164 (7090)

ოთხშაბათი, 13 ივლისი, 2016

# ᲒᲘᲒᲚᲐ ᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲒᲘᲐ **ᲓᲐ**ᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ

"საქართველოს პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო რესპუბლიკური პარტია და დავრჩე გიორგი კვირიკაშვილის სამთავრობო გუნდში. ეს ნაბიჯი არ იყო უმტკივნეულო, რადგან წლები მაკავშირებს რესპუბლიკურ პარტიასთან, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მამოძრავებდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა"



ՐԱՐԱ ՌՍՉՌՋԿՅ: "ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ **ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔ**ᲒᲘᲚᲔᲑᲐ. **ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ Ა**ᲥᲐᲠᲐᲡ. **ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ** 

"ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲛᲐ ᲝᲗᲮᲝᲖᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ **ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲔᲗ"



ზვიად ჩიტიშვილი: "ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, აღადგინოს სამართლიანობა"

სასწჩაფოდ დაიწყოს იმ პიჩების სამაჩთღებჩივი ღევნა, hომ<u>ე</u>ბიც სუცხანის წამებაში მონაწიცეობდნენ. მათი ვინაობა მოღაშვიღმა აჩაეჩთხედ დაასახედა. ვიცი, ჩომ ეს საქმე ჩვენი საზოგაჹოებისთვის ძაღიან ჩეზონანსუღია, ეს თემა მცკივნეუღია ნამჹვიღი ოპოზიციისთვისაც. ამიტომაც ყვეღას მოვუწოჹებთ, შემოუეხთღეს ჩვენს აქციას. ხაც უფხო მეტნი ვიქნებით, მით უფხო კახგად გაიგონებს ხელისუფლება ჩვენს ხმას



**MODES THE STATE OF THE STATE O** "ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲐᲨᲘ **ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲔᲞᲣᲒᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ"** 

"ჩვენი პრობლემა ისაა, რომ რუსეთს ყველა მტრად არ აღიქვამს'

"პახიამენტში ნახმოდგენიიი პახტიები შემჩნეუიი ახიან 





პოლიტიკამ მოგვცეს დადებითი შედეგები, იმიტომ, რომ მორგება ყოველთვის ხდება წარსულთან და არა მომავალთან. წარსულთან მორგება, როგორც წესი, დაგვიანებულია! ამიტომ არსებითად შესაცვლელია

დამოკიდებულება და პოლიტიკა"

83.11

# **ᲒᲘᲒᲚᲐ ᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ** ᲙᲐᲠ**ᲢᲘᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡ**ᲢᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ

შორენა მარსაგიშვილი

11 ივლისს პარლამენტში რესპუბლიკური პარტიის დახურული შეხვედრა გაიმართა, სადაც პარტიამ სამომავლო გეგმები დააწყო. შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ გეგმებს რამდენიმე დღეში გაამხელდნენ.

რაღაც მიზეზების გამო რეს-პუბლიკელებს გეგმების გამხელა ნაადრევად მოუხდათ. გუშინ, 12 ივლისს, ცნობილი გახდა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პარტია საარჩევნო სუბიექტის "უსუფაშვილი – რესპუბლიკელების" სახელით წარდგე-

პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძის განცხადებით, საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით უსუფაშვილი იქნება. სამნიძის ინფორმაციითვე, აჭარის უმაღლეს საბჭოში რესპუბლი-კელების საარჩევნო კამპანიას პარტიის პოლიტიკური მდივანი დავით ბერძენიშვილი წარუძღვება და სიის პირველი ნომერიც ის იქნება.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ "ქართული ოცნება" მის გადაბირებას ცდილობდა. მერე ისიც ითქვა, რომ "ოცნების" ლიდერები მოლაპარაკებებს რესპუბლიკელ მინისტრებთანაც აწარმოებდნენ. ეს ინფორმაცია



რესპუბლიკელებმა კატეგორიულად უარყვეს, თუმცა გუშინ, 12 ივლისს, დადასტურდა, რომ მოლაპარაკებები

ამ მოლაპარაკებების შედეგად გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა, ამის სანაცვლოდ კი რესპუბლიკელები მიატოვა და "ქართულ ოცნეშეუერთდა. ამის შესახებ მან საგანგებო განცხადება გაავრცელა. "ახალი თაობა" ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო რეს-პუბლიკური პარტია და დავრჩე გიორ-

გი კვირიკაშვილის სამთავრობო გუნდში. ეს ნაბიჯი არ იყო უმტკივნეულო, რადგან წლები მაკავშირებს რესპუბლიკურ პარტიასთან, მაგრამ გადანყვეტილების მიღებისას მამოძრავებდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

კარგად ვარ ინფორმირებული პრემიერ-მინისტრისა და მისი გუნდის სამომავლო გეგმებზე, მჯერა ჩემი არჩევანის სისწორისა, რადგან იგი უკავშირდება საქართველოს მდგრად, სტაბილურ განვითარებას, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას. ბუნებრივია, ჩემთვის დიდი პატივია, სამთავრობო გუნდში "ქართულ ოცნებასთან" ერ-თად გავაგრძელო საქმიანობა და წვლილი შევიტანო ქვეყნის აღმშენებლობის

როგორც "ახალი თაობისთვის' ცნობილი გახდა, ამის გამო რესპუბლიკელებმა აგულაშვილი საფუძვლიანად მიალანძღეს, საჯაროდ კი მის განცხადებას გაგებით მოეკიდნენ.

– მან გააკეთა სხვა არჩევანი; იგი გაემიჯნა რესპუბლიკურ პარტიას და რჩება თანამდებობაზე, რჩება მთავრობაში. ამ კონკრეტულ საკითხზე, ალბათ, თავადაც გააკეთებს განმარტებას და ახლა მეტს არ შევჩერდები, ერთს კი ვიტყვი, ჩვენ მივდივართ საარჩევნო ბრძოლაში, ამიტომ მივმართავ ყველა "რესპუბლიკელს", ვისაც რაღაც ეჭვი აწუხებს, რომ ამ ბრძოლაში უნდა იყოს თუ არა ჩვენთან ერთად, გააკეთოს არჩევანი უახლოეს ორ დღეში, იმიტომ, რომ ჩვენ არჩევნებზე უნდა წავიდეთ თავდაჯერებულნი, მტკიცე ჯგუფი მტკიცედ, როგორც ვიყავით ყოველთვის. არჩევანი უნდა გაკეთდეს. ბრძოლაში მივდივართ ისინი, ვისაც გვჯერა, რომ სწორ საქმეს ვაკეთებთ და გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში, -

განაცხადა დავით უსუფაშვილმა. რაც შეეხება სხვა რესპუბლიკელ მინისტრებს, უსუფაშვილის ინ-

ფორმაციით, თინა ხიდაშელი და პაატა ზაქარეიშვილი უახლოეს დღეებში დატოვებენ თანამდებობებს და ჩაერთვებიან პარტიის წინასაარჩევნო კამპანი-

– პოლიტიკა არ არის კერძო პერსონალური ვნებების ასპარეზი, პოლიტიკა არის ხალხის საკეთილდღეო სამსახური. ამიტომ ჩვენ ბოლომდე გავაგრძელეთ ჩვენი მოვალეობების შეს-რულება, მათ შორის საქართველოს მთავრობაშიც. ჩვენ თუ ევროპა გვინ-და, ჩვენ თუ ცივილიზაცია გვინდა, უნდა შევეგუოთ და უნდა ვისწავლოთ ეს ტრადიციები, როდესაც მრავალპარტიული კოალიციები მუშაობენ არჩევნების ბოლომდე. ჩვენ ეს შეთავაზება გავუკეთეთ ჩვენს პარტნიორებს "ქარ-თული ოცნებიდან." ჩვენ ვიყავით მზად, რომ ჩვენი მთავრობის წევრები დარჩენილიყვნენ თანამდებობებზე არჩევნების ბოლომდე და ჩვენ მათ გარეშე გავიდოდით საარჩევნო კამპანიაში. "ქართულმა ოცნებამ" სხვაგვარად გადაწყვიტა. მან ჩათვალა, რომ მრავალპარტიული კოალიციური მთავრობა წინასაარჩევნო კამპანიის დროს არის მიუღებელი. ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ უფრო დეტალურად, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, – აღნიშნა პარ-ლამენტის სპიკერმა.

მართალია, პაატა ზაქარეიშვილი თანამდებობის დატოვებას აპირებდა, მაგრამ მისთვის ეს ყველაფერი მოულოდნელი აღმოჩნდა. ის ამბობს, რომ არ ემზადებოდა არჩევნებისთვის და ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ რესპუბლიკელი მინისტრები თანამდებო- $\frac{1}{2}$   $\frac{1}$ 

– 11 ივლისს მქონდა ძალიან კორექტული საუბარი პრემიერთან. მე ძალიან დიდი პატივს ვცემ მას, ჩვენი ურთიერთობა მაქსიმალურად მეგობრული და ურთიერთპატივისცემის რეჟიმში იყო, მაგრამ მკაფიოდ გამოჩნდა პოზიცია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს "ოცნებას" ურჩევნია, მინისტრები იყვნენ მკაფიოდ გამოკვეთილნი თავიანთ პარტიულობაში, – განაცხადა ზაქარეიშვილმა

კითხვაზე, იქნება საარჩევნო სიაში თუ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ "საერთოდ ვერ წარმოუდგენია თავი პარლამენტის წევრად"

დებობას თინა ხიდაშელი აშშ-ში ვიზიგიდან დაბრუნების შემდეგ დატოვებს. როგორც ხიდაშელმა უურნალისტებს განუცხადა, მას 11 ივლისს ჰქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან აღნიშნულთან საკითხთან დაკავშირებით.

— ბუნებრივია, რომ აქამდე რო-გორც მოვედით, ზუსტად ისე, ცივილიზებულად უნდა დავასრულოთ ეს პროცესი. თავდაცვის სამინისტროში არის რამდენიმე ძალიან სასწრაფოდ დასასრულებელი ღონისძიება, რომელსაც ახლა გადაბარების რეჟიმი ხელს შეუშლის და პრობლემას შექმნის. მათ შორის ერთ-ერთი არის რამდენიმე დღის წინ თბილისში გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ივლისის შუა რიცხვებში აშშ-ში დაგეგმილი ამ მემორანდუმის შესაბამის გეგმაზე მუშაობა, ამიტომ ახლა მე აშერიკაში გავემგზავრები, ამ პროცესს დავასრუ-ლებ და იქიდან დაბრუნების შემდეგ უკვე კონკრეტულ რიცხვზე შევთანხმდებით. არა მგონია, ასეთი მნიშვნელოვანი იყოს, რომელ რიცხვში და რომელ საათზე მოხდება. პოლიტიკური გადაწყვეტილება თქვენთვის ცნობილია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ და მე და პრემიერი ამ შემთხვევაში ერთ აზრზე ვართ — არასოდეს მივცემ ჩემს თავს უფლებას, შუაში მივატოვო პრო-ცესი, რომლის წარმატებისთვისაც მთელი წლის განმავლობაში ვიბრძოდი, – განაცხადა ხიდაშელმა.

# 3**ᲐᲐ**ᲒᲐ ᲨᲔᲨᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲑᲐᲜᲥᲛᲐ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲒᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ"

ნონა ცაბაძე

chngcast nghmng es ეhოვნული ბან<u>ა</u>ის ამჟამინჹეღი ხეღმძლვანეღობა განსხვავჹება – აცხაჹებს "ახაը თაობასთან" საუბჩისას პააცა შეშეღიძე.

– ბატონო პაატა, საზოგადოებაში დიდი იმედი გაჩნდა, როდესაც ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო, თუმცა ხალხს იმედები ძალიან მალე გაუცრუვდა და ლარმა კვლავ გაუფასურება დაიწყო. ტურისტული სეზონია და ლარს ესეც ვერ შველის. როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხზე?

– ეს პოობლემა გამოწვეული იყო ეროვნული ბანკის ორი გადაწყვეტილებით, რაც გულისხმობდა შემდეგს: პირველი ის, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, შეემცირებინათ რეფინანსირების განაკვეთი და მეორე გადაწყვეტილება მათ ფორმით, რომ ლარებში შეამცი

რეს დეპოზიტების სარეზერვო განაკვეთი. – ანუ? – ანუ ორივე შემთხვევაში პროვოცირება გაუკეთეს ფულის მასის ზრდას ეკონომიკაში. ეს გადაწყვეტილებები ძალაში შევიდა მაისის შუა რიცხვებში და ბაზრის რეაგირება ამ გადაწყვეტილებაზე იყო ის, რომ ეს იყო ორშაბათი დღე და შაბათიდან დაიწყო ლარის გაუფასურება. ეს იყო

როგორც კი ეს გადაწყვეტილებები მიი-

ღეს, იმ წუთში გამოვთქვი ჩემი აზრი, თუმცა ნაკლებად მისმენენ და ნაკლებად აინტერესებთ, რა მოხდება. პროგნოზი, რომ ასეთი გაუფასურება მოხდებოდა, გავაკეთე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს გაუფასურება უნდა გაგრძელდეს, იმიტომ, რომ ის ტალღა, რომელიც მივიღეთ, დამთავრდა. შეიცვალა დამოკიდებულება, ფულის მასა გაიზარდა და გაჩერდა.

– კიდევ ელოდებით ლარის გაუფასურე**-**

— ამის შემდეგ, თუ რამე დამატებითი შეცდომები არ იქნება მიღებული, არ ველოდები. რაც შეეხება იმას, რომ ზაფხულია, ტურისტული სეზონია და ასე შემდეგ, ეს უმნიშვნელოდ მოქმედებს.

– ვერ ახდენს გავლენას ჩვენს ეკონომიკა-

ეს არ არის ისეთი დიდი მასა თანხის, რომ არსებითად ცვლიდეს სურათს. ტურისტუ-ლი სექტორიდან შემოსავლები არის მთელი შემოსავლების 2-3% და მეტი არა. ეს პროცესი, რომელიც ხორციელდებოდა მაისში და ივნისში, იყო ეროვნული ბანკის მცდარი გადაწყვეტილეპის შედეგი

- მაშინ რა არის სწორი გადაწყვეტილე**-**

– სწორი გადაწყვეტილება არის მონეტ რული მორგების პოლიტიკის შეჩერება. მორგებას უნდა დაანებონ თავი, არ შეიძლება, მორგების პოლიტიკამ მოგვცეს დადებითი შედეგები, იმიტომ, რომ მორგება ყოველთვის ხდება წარსულთან და არა მომავალთან. წარსულთან მორგება, როგორც წესი, არის დაგვიანებული! ამიტომ არსებითად შესაცვლელია დამოკიდებულება და პოლიტიკა.

– თქვენი რეკომენდაციები რას ითვალისწინეს?

პრომისული იქნება, მაგრამ მუშაობს, არის მყარად მიბმა დოლართან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ახალი ლარი, რომელიც მიმოქცევაში გამოვა, იქნება უზრუნველყოფილი მყარი კურსი დოლარით, თუ არ იქნება, არ გამოვა.

ამ გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რომ სხვა დანარჩენი საკითხები, რომლებიც დღეს არის მონეტარული პოლიტიკის მორგების ნაწილი ანუ რეფინანსირების განაკვეთი, რეზერვირების განაკვეთი და მსგავსი საკითხები საერთოდ უნდა გამოვიდეს მონეტარული პოლიტიკის ბერკეტებიდან.

ერთადერთი დავალება არის გაცვლითი კურსის კონტროლი. ეს არის კომპრომისული გადაწყვეტილება, თუმცა უკეთესი გადაწყვეტილებებიც არსებობს.

– მაინც როგორი?

– მაგალითად, ოქროს ლარის გამოყენებაზე გადასვლა, თავისუფალი სავაჭრო არჩევანის მიცემა ხალხისთვის და ასე შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვა, მონეტარულ პოლიტიკაზე აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება. თუ არ ესმით ეს ცვლილებები, მაშინ დისკუსიის წამოწყება, გარჩევა და არა იგნორირება. რამდენადაც იგნორირება კეთდება, ყოველთვის ხდება ვიღაცის ხარჯზე ვიღაცის გამდიდრება, რაც მუდმივად უკან გვაბრუნებს. ამ სისტემაში გვჭირდება მეტი საჯაროობა და გამჭვირვალობა. ეს არ გვაქვს.

– ხელისუფლების მხრიდან ისმის შეფასებები, რომ ლარის გაუფასურება გარე ფაქტორების ბრალია. თქვენ ამას არ იზიარებთ?

– კარგით, რა! არ გვინდა ამ გარე ფაქტორებზე გადაბრალება! გარე ფაქტორები ყოველ-თვის არის. ათასი რაღაც ხდება, ზოგი კარგი, ზოგიც ცუდი. მთავარი არის ის, რა გადაწყვეტი-



ლებას იღებს ამ გარე ფაქტორების გათვალისწინებით ადგილობრივი მთავრობა და ეროვნული

– ადრე ყველაფერი ქადაგიძეს ბრალდებოდა, დღეს აღარ არის ქადაგიძე, ახლა ვისი

– ქადაგიძე და დღევანდელი ხელმძღვანელობა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან! ერთადერთი ნიუანსი ის არის, რომ ქადაგიძის წასვლის შემდეგ აღარ გაიცემა რეფინანსირების სესხები, მუდმივმოქმედი საერთოდ არ გაც ლა. ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა პოლიტიკა და მიდგომა მაინც იგივეა. მე არ ვიზიარებ ამ შეთქმულების თეორიებს, რომ ის იყო და იმიტომ ფუჭდებოდა, ახლა სხვა არის და აღარ ფუჭდება. უბრალოდ, მათ ხედვა, პოლიტიკა, დამოკიდებულება აქვთ ერთნაირი. რაც მთავარია, ეს მცდარი ხედვაა. ასევე ერთი ნიუანსია კიდევ აქ, რომ ქადაგიძის დროს აქტიურად ხდე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

abaen m a ini d a

გაზეთი გამოდის 1993 წლის

23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი **მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი **რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

*ჭონსულტანტე*ბი ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავამე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუპინაშვილის ქ. Nu50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ: "ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲬᲧᲕᲔ&ᲘᲚᲔᲑᲐ്, ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲐᲭᲐᲠᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ"

3)

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე "ახალ თაობასთან" ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილებას აფასებს.

– ბატონო სოსო, როგორც ცნობილი იყო, რესპუბლიკელები მარტო გადიან ამ არჩევნებზე. მათი მინისტრები, აგულაშვილის გამოკლებით, ტოვებენ მთავრობას და საარჩევნო პროცესში გადაინაცვლებენ. როგორია მათი შანსები?

– თავის დროზე, როდესაც ივანიშვილი კოალიციას ქმნიდა, ყველაზე მეტ ნდობას ჩემი მხრიდან სწორედ რესპუბლიკელები იმსახურებდნენ. ამ ერთობაში მხოლოდ რესპუბლიკელები იყვნენ მართლაც პრინციპების ერთგულნი. ზოგისთვის ეს პრინციპები მისაღებია, ზოგისთვის – არა, მაგრამ საქართველოში ეს არის ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც მტკიცედ აქვს 30 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული თავისი პრინციპები, ღირებულებები, იდეოლოგია და რომელსაც არც მარჯვნივ უხვევს და არც მარცხნივ. ჩვენ ვიცით პარტიები, რომლებისთვისაც ლირიული გადახვევები უცხო არ არის. არიან პარტიები საქართველოში, მაგალითად კონსერვატორები, რომლებიც თავიანთ კონსერვატორობას მხოლოდ იმით ამტკიცებენ, რომ სამსახურში ჩოხებით სიარული მოითხოვეს.

– რესპუბლიკელებს უფრო ადრე უნდა მიეღოთ კოალიციიდან გასვლის გადაწყვეტილება? თუმცა, დავით ბერძენი შვილი აცხადებს, რომ კოალიციური სტილი მათთვის მისაღებია, "ოცნებისთვის" არა?

— ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, სრული მოულოდნელობა იყო, რომ მათ ამდენი ხანი, 4 წელი გაძლეს ამ კამპანიაში. ეს აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, მაგრამ გაძლეს. ჩემი ვარაუდი, რომ წელიწადნახევარსაც ვერ გაძლებდნენ, არ გამართლდა.

- \_ ერთ-ერთი, უკვე ყოფილი რესპუბლიკელი, აგულაშვილი ტოვებს პარტიას და პოსტს ინარჩუნებს. ამას როგორ ხსნით?

— ეს უცხო არ არის ქართული პოლიტიკისთვის. თუმცა, ამას არასდროს არ გააკეთებენ, მაგალითად, ძმები ბერძენიშვილები, ვახტანგ ხმალაძე, ივლიანე ხაინდრავა. მათ პარტიაში ბევრი არ არის მედროვე, სხვა პარტიებისგან განსხვავებით. ეს ბირთვი, რესპუბლიკელების ერთგული იქნება ყოველბიც დამფუძნებლებმა დატოვეს ან სხვაგან წავიდნენ, ცხადია, ეს სრული გაუგებრობაა, მაგრამ საქართველოში ყველაფერი ხდება.

რესპუბლიკელების ტრაგედია ეს არ არის, მათი ტრაგედია, თუ ხმამალალი ნათქვამი არ არის, სხვა რამეშია. მათ ჩვენს საზოგადოებას გაუსწრეს ზოგიერთ საკითხში. იმ ფასეულობების, პრინციპების, რომელიც შეიძლება საქართველოში 30-40 წლის შემდეგ დამკვიდრდეს, ისინი მის დამკვიდრებას დღეს ცდილობენ, რაც განნირულია და რაც არ გამოუვათ.

– გამოდის, არჩევნებზე მათ გაუჭირდებათ თანამოაზრეების პოვნა, ამომრჩევლის მიმხრობა?

— მე დიდი იმედი მაქვს, რომ მათ ეს 4 წელი უქმად არ დაუკარგავთ და გარკვეული სამუშაოები აქვთ წარმოებული რეგიონებში, პარტიული ინფრასტრუქტურა გააძლიერეს. ასევე ეს არის საქართველოში ნომერ პირველი ინტელექტუალური პარტია და არ უნდა გაუჭირდეთ, რომ მათ საარჩევნო ბარიერი გადალახონ, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

– ბატონო სოსო, როგორ ხსნით დავით ბერძენიშვილის გადაწყვეტი-ლებას, რომ ის დაუბრუნდეს ბათუმს და აჭარის უმალლეს საბჭოში იყაროს კენჭი?

— შეიძლება ეს არის ერთგვარი რევანში. ნაციონალური მოძრაობა 2002-2003 წლებში ცოტა უსამართლოდ მოექცა მათ. ყველას კარგად ახსოვს აჭარის განთავისუფლების კამპანია და ამ პროცესში ძმები ბერძენიშვილების როლი. შეიძლება ბევრს არ ახსოვს, მაგრამ მე კარგად მახსოვს, დათო ბერძენი შვილი იყო ერთადერთი აჭარის იმ დროინდელ პარლამენტში, რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა კუთხური სეპარატიზმის წინააღმდეგ. მახსოვს აჭარის პარლამენტში ქალბატონი თავმჯდომარე როგორ აცხადებდა ტრიბუნიდან, ჩვენ თბილისის კანონებით ვერ ვიცხოვრებთ. ამ ქალბატონს ერთადერთმა დეპუტატმა დავით ბერძენიშვილმა გაუწია წინააღმდეგობა და უთხრა, რომ თბილისისგან მტრის ხატის შექმნა დაუშვებელი იყო. რასაკვირველია, აჭარაში, ბათუმში ძმები . გერძენიშვილების პოპულარობა, გავლენა მაღალია, ბოლოს და ბოლოს, ისინი აჭარიდან წავიდნენ ციხეში. ამდენად ის, რომ დავით ბერძენიშვილი დღეს, აჭარაში ხედავს თავის თავს, მე ეს არ მიკვირს, პირიქით, ვფიქრობ, პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილებაა, სწორედ იქ, აჭარაშია დღეს საჭირო ბერძენი შვილი. პირდაპირ გეტყვით, ბატონი ხაბაძე სრული გაუგებრობა იყო. ბატონი ბერიძე, რომელსაც შავი ქოლგით დაატარებენ 21-ე საუკუნეში, სირცხვილია, სრულიად მიუღებელია, ამას ნამდვილად არ იმსახუ-



რებს ბათუმი.

– თქვენ ამბობთ, პოლიტიკურად ეს გადაწყვეტილება სწორია?

ოად ენ გადანყვეტილება ბაროია — რასაკვირველია, ისევე, როგორც პოლიტტექნოლოგიურად სწორი გადაწყვეტილება იყო თავდაცვის მინისტრის ბრძანებულება წვევამდელებთან დაკავშირებით. ბევრს მოსწონს, ბევრს — არა ხიდაშელის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ პოლიტიკა პოლიტიკაა. წარმოიდგინეთ, რამდენი ათასი მშობელი გაიხარებდა ამ გადაწყვეტილებით და რამდენი დაუფასებს ამ ბრძანებულებას თუ განკარგულებას თინა ხიდაშელს.

— უსუფა შვილმა თქვა, რომ შევთავაზეთ პრემიერს, რომ რესპუბლიკელი მინისტრები დარჩენილიყვნენ პოსტებზე და ისე ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია, რასაც არ დათანხმდა პრემიერი. პარლამენტის თავმჯდომარეს ზაქარია ქუცნაშვილი გამოეხმაურა, რომ მათ ეგონათ მოხსნიდ-

– ზაქარია ქუცნაშვილს თუ რამე ავტორიტეტი ჰქონდა ოთხი წლის წინ, კაზინოში აზარტული მოთამაშის მსგავსად სრულად გაფლანგა. უკვე ზღვარს გადავიდა ქუცნაშვილის მცდელობა, რომ როგორმე არ აღმოჩნდეს თამაშგარე მდგომარეობაში.

— რომ დავუბრუნდეთ პრემიერის გადაწყვეტილებას, სწორი იყო, რომ არ მოხსნა რესპუბლიკელი მინისტრები?

 რასაკვირველია, ეს იყოს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება გიორგი კვირიკაშვილის მხრიდან პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ აქვე უნდა დავაკონკრეტო, რომ ვერ მოხსნიდა.

– რატომ?

— თუ არანაირი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იქნებოდა ეს მოხსნა "ოცნებისთვის", მაშინ მოხსნიდა, მაგრამ ჰქონდა პრემიერს გარანტია, რომ ამას კრიზისი არ მოჰყვებოდა, ასევე არის სხვა ფაქტორებიც, თქვენ ხომ იცით ჩვენი საზოგადოების სიმპათიები დაჩაგრულებისადმი, მოხსნილებისადმი როგორ ავტომატურად იზრდება. "არ მოხსნა"-სა და "ვერ მოხსნა"-ს შორის დიდი სხვაობაა, რასაცვერ ხვდება ქუცნაშვილი.

# &ᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲥᲣᲪᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ" ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲦᲝᲛᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲓᲐ

*"*ᲕᲔᲠᲐᲡᲦᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲦᲒᲔᲜᲦᲘ. ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ

ᲛᲘᲜᲦᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲦ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲦᲐ"



 შთაბეჭდილება მრჩება, რომ რესპუბლიკელებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ მათ მი-

"ცენტრ პოინტის" საქმე-

ნისტრებს გაათავისუფლებდნენ და რადგან ეს მოლოდინი არ გამართლდა, ამბობენ: არ ვუნდივართ, — ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა.

ქუცნაშვილისთვის რესპუბლიკელთა არგუმენტები მათი მინისტრების პოსტებიდან წასვლის თაობაზე არადამაჯერებელია.

# ზაქარია ქუცნაშვილი:

— თუკი "ქართულ ოცნებას" საარჩევნოდ მთავრობაში რესპუბლიკელი მინისტრების ყოფნა არ უნდოდა, მაშინ რა აფერხებდა გიორგი კვირიკაშვილს, რომ ისინი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა?!

პრემიერის მიერ მინისტრების გათავისუფლებას დასაბუთება არ სჭირდება და თუკი "ქართულ ოცნებას" ნინასაარჩევნოდ კოალიციური მთავრობა არ უნდოდა, მოხსნიდან კვირიკაშვილი ერთსაც და მეორესაც (თინა ხიდაშელს და პაატა ზაქარეიშვილს). კიდევ ვი-მეორებ, თუკი მოსამართლის მოხსნას დასაბუთება სჭირდება, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას დასაბუთება სჭირდება, მინისტრის მოხსნას არანაირი დასაბუთება არ სჭირდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათი რამდენიმე მინისტრის მთავრობიდან წამოსვლის არგუმენტი დამაჯერებელი არ არის

"ინტერპრესნიუსის" კითხვაზე, რა გახდა რესპუბლიკელი გიგლა აგულაშვილის პარტიიდან წასვლის და მთავრობაში, მინისტრის პოსტზე დარჩენის საფუძველი, ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ ამაზე განმარტება თავად აგულაშვილმა უნდა გააკეთოს.

ორი რესპუბლიკელი მინისტრი, თინა ხიდაშელი და პაატა ზაქარეიშვილი, თანამდებობას ტოვებს. რაც შეეხება კიდევ ერთ რესპუბლიკელ მინისტრ გიგლა აგულაშვილს, ის პარტიას ტოვებს და გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე რჩება.

ინტერპრესნიუსი

# ᲒᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ"



გია ხუხაშვილმა რესპუბლიკელი მინისტრების გადაწყვეტილება და სამომავლო შანსები შეაფასა. ექსპერტი პარტიის შანსებს სკეპტიკურად
უყურებს, მიუხედავად იმისა,
რომ, მისივე შეფასებით, დავით
უსუფაშვილი ქართულ სინამდვილეში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა.

# გია ხუხაშვილი:

— ჩემი აზრით, საზოგადოების გაგებით რესპუბლიკურ პარტიას სისტემური ხარვეზი აქვს, რომლის გადალახვა
ძალიან გაუჭირდება. რესპუბლიკური პარტია ქართველ საზოგადოებაში არც არასდროს
სარგებლობდა განსაკუთრებული ექსკლუზიური მხარდაჭერით.

გამომდინარე იქიდან,

რომ მათ ძალიან გაუგრძელდათ ბიძინა ივანიშვილის რესურსებზე პარაზიტირება და ძალიან დააგვიანეს იმისათვის, რომ სრულფასოვანი კამპანია დაეწყოთ და ელექტორალური სეგმენტი ეპოვათ, ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ მათ შანსებს. უბრალოდ, არ ვიცი ამომრჩეველი, რომელმაც რესპუბლიურ პარტიას უნდა მისცეს

მისივე თქმით, რესპუბლიკური პარტია წინასაარჩევნო კამპანიის დაგვიანებით დაწყებას ევროპული მიდგომებით ხსნის.

— მათ ძალიან უყვართ მენტორული ტონით საზოგადოებასთან ლაპარაკი და რატომლაც მიიჩნევენ, რომ სხვებზე უფრო ინტელექტუალური
ძალაა, სინამდვილეში, ხშირ შემთხვევაში ფსევდოინტელექტუალიზმში გადადის. ამასაც საზოგადოება ძალიან კარგად
გრძნობს.

მე ვფიქრობ, ახლა დაიწყება პარტიის დაშლის პროცესი, განსაკუთრებით — რეგიონებში. ვფიქრობ, აგულაშვილის გზას ძალიან ბევრი რესპუბლიკელი დაადგება და ბევრი ადგილობრივი აქტივისტი, დიდწილად, "ქართულ ოცნებაში" აღმოჩნდება, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# ლომე ჩარკვიანი წინასწარი და- სხვა ტიპის გადაწყვეტილებებ- კავების იზოლატორში დაწე- ში და ვიყავი მხოლოდ ფორმა-

ზე დაკავებული სალომე ჩარკვიანი აცხადებს, რომ მისი ფაქსიმილეთი და მინდობილობით ბოროტად სარგებლობდნენ. სალომე ჩარკვიანი წინასწარი დაკავების იზოლატორში დაწერილ წერილში რჩეულიშვილების ოჯახს მიმართავს და ამბობს, რომ არანაირი წვლილი არ მიუძღვის არც ფინანსურ და არც რაიმე სხვა ტიპის გადაწყვეტილებებში.

— მაია, ნიკა, დარსო, ძალიან დიდ გაუგებრობაში მოვყევი. კარგად იცით, რომ არანაირი წვლილი არ მიმიძღვის
არც ფინანსურ და არც რაიმე
სხვა ტიპის გადაწყვეტილებებში და ვიყავი მხოლოდ ფორმალურად ამ პოზიციაზე. ასევე
გაუგებარია, რატომ ვიყავი გაფორმებული ამ პოზიციაზე
2006 წლის ჩათვლით, ვინაიდან კარგად მახსოვს, რომ ბევრად ადრე მაქვს განცხადებები



დაწერილი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ფაქსიმილეთი და მინდობილობით
ვინმე ბოროტად ისარგებლებდა და ამ მდგომარეობამდე მიმიყვანდა. ამიტომ სასწრაფოდ
მიიღეთ ყველა ზომა იმისთვის,
რომ აქაურობა დავაღწიო თავი რაც შეძლება მალე — დღეს,
ხვალ, — წერს ჩარკვიანი წერილში, რომელსაც ოჯახი ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი** გამომდი

# დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბოდა ირიბი გზით ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერა.

# — რა კუთხით, რას გულისხმობთ?

— იმ გაგებით, რომ ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებებს უშვებდა, სახაზინო ვალდებულებებს იძენდნენ ბანკები. შემდეგ ბანკები ამ სახაზინო ვალდებულებების გავლით იღებდნენ რეფინანსირების სესხს. ეს სქემა აქტიურად მუშაობდა. ეროვნული ბანკი აფინანსებდა მიმდინარე ვალდებულებების გას-

# ᲞᲐᲐᲒᲐ ᲨᲔᲨᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲒᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ"

ტუმრებას. დღეს ეს ბერკეტი ნაკლებად გამოიყენება, ან ჯერ არ სჭირდება ფინანსთა სამინისტროს ამის გამოყენება.

– ანუ, თუ ეს რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, ამ კუთხით სიტუაცია არ გამოსწორდება?

 გამოსწორება არის პირობითი საკითხი. მაშინ უნდა გვქონდეს მიზანი, რა მიზანს ვემსახურებით. ამ მთავრობას არ აქვს გამოსწორების კრიტერიუმი დადგენილი. მაგათთვის, რასაც აკეთებენ, ყველაფერი სწორია. მე ვთავაზობ ჩემსას, რომელიც არის მარტივი, თეორიული, დასკვნაზე დაფუძნებული მიდგომა. მე მაქვს რაღაც პრინციპი, მათ კი არ აქვთ ეს პრინციპი.

აი, ეს არის ჩვენ შორის განსხვა-

# ᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲒᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲟ

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალუში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

# "ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲛᲐ ᲝᲗᲮᲝᲖᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲔᲗ"

ზვიად ჩიტიშვილი: "ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, აღადგინოს სამართლიანობა"

შორენა მარსაგიშვილი

ხატომ ქიანუხდება ქვეყანაში სამახთღიანობის აღჹგენა, hs გაhიგებაა ხეღისუფღებასა es ნაციონა<u>ტებს</u> შოჩის, hs უიტიმატუმს უყენებენ ხეღისუფღებას სუღხან მოღაშვიღის საქმეზე? – ამ თემებზე "ახაը თაობას" "ჩვენი სამშობტოს" ტიტეხი ზვიაჹ ჩიტიშვიტი ესაუბხება.

ზვიად ჩიტიშვილი: ხვალ, 14 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციის წინ ვაპირებთ დიდი საპროტესტო აქციის გამართვას სულხან მოლაშვილის საქმეზე. სულხანი არის უსამართლობასთან ბრძოლის სიმბოლო. ის ამ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ მის საქმეს ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომ სასწრაფოდ დაიწყოს იმ პირების სამართლებრივი დევნა, რომლებიც სულხანის წამებაში მონაწილეობდნენ. მათი ვინაობა მოლაშვილმა არაერთხელ დაასახელა. ვიცი, რომ ეს საქმე ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან რეზო-ნანსულია, ეს თემა მტკივნეულია ნამდვილი ოპოზიციისთვისაც. ამიტომაც ყველას მოვუწოდებთ, შემოუერთდეს ჩვენს აქციას. რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უფრო კარგად გაიგონებს ხელისუფლება ჩვენს ხმას.

– ნაციონალებიც ოპოზიციაში არიან და მათაც იწვევთ ამ აქციაზე?

– ნაციონალები როგორ შეიძლება, ოპო-ზიციად აღიქვას ადამიანმა. არც ეგენი და არც მათი სატელიტები იქ არ მოვლენ. სულხან მოლაშვილი მათ მოკლეს და მისი მკვლელების დასჯას არ მოითხოვენ. აქციაზე არც "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს ველოდებით. სულხანის ტრაგედიაში მათაც მიუძღვით წვლილი. არადა, ეს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდა, მოლაშვილი კი იმ საშინელი რეჟიმის პირველი მსხვერპლი იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე სიმართლეს ეძებდა. სამწუხაროა, რომ აფხაზეთის დე ფქტო ხელისუფლება ბევრად უფრო სამართლი ანი აღმოჩნდა, ვიდრე ქართველი ხალხის მიერ მოყვანილი "ქართული ოცნება".

– რას გულისხმოპთ, როცა ამპოპთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უფრო სამართლიანია, ვიდრე "ქართული ოცნება"?

– ყველას კარგად გვახსოვს ის ტრაგედია, რომელიც მაისში დატრიალდა. აფხაზმა მესაზღვრემ ქართველი გიგა ოთხოზორია მოკლა. ეს ამბავი ჩემთვისაც დიდი ტრაგედია იყო. მე ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს რუსეთში და ამ მკვლელობის შემდეგ სასწრაფოდ გავფრინდი მოსკოვში, შევხვდი მათ და მოვუყევი ამ საშინელი ტრაგედიის დეტალები. ისინიც ძალიან შეწუხ-დნენ და აფხაზეთის ხელისუფლება დაარწმუნეს,

რომ მკვლელი უნდა დასჯილიყო. აფხაზებმა მოითხოვეს ქართული მხარისგან დოკუმენტაციის გადაცემა. ესენი უარზე იყ-ვნენ. ამის მიუხედავად, აფხაზებმა მაინც გაასა-მართლეს გიგა ოთხოზორიას მკვლელი. თავიდან ეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებამ არ ადასტურებდნენ ივნისის ბოლოსკენ ჩატარდა სასამართლო პროცესი და მკვლელს შინაპატიმრობა მიესაჯა. სამსახურიდან უფრო ადრე გაუშვეს. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ეს ინფორმაცია დაე-

მე ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ ქართვე-ლის მკვლელის დასჯის საქმე ბოლომდე მივიყვა-ნე. ამაში გვერდით დაგვიდგნენ როგორც აფხა-

ზები და რუსები, ასევე საპატრიარქო.
— ჩვენ საპატრიარქოზეა საუბარი?

— რუსეთის საპატრიარქოზე. მათ აფხაზებ-თან ერთად ყველაფერი გააკეთეს, რომ დამნაშავე დასჯილიყო. ადრეც გითხარით, 1993 წლის შემდეგ აფხაზეთში ქართველის მკვლელობისთვის არავინ გაუსამართლებიათ. არადა, ამ პერიოდშია ასეულობით ქართველია მოკლული. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზებთან ურთიერთობაში ყინული დაიძრა.

– ყინული დაიძრაო, ამბობთ და გულწოფელად გჯერათ, რომ აფხაზები დიალოგზე წამოვლენ?

– ამაში ეჭვიც არ მეპარება. მე ძალიან ბევრ აფხაზთან მაქვს კარგი ურთიერთობა და მათგან

ვიცი, რომ მათ ურთიერთობის აღდგენა უნდათ. საპასუხო ნაბიჯი აქეთა მხრიდანაც უნდა გადაიდგას. ჩვენი ხელისუფლება ამერიკისა და თურქეთის დაკრულზე ცეკვავს და ამ ურთიერთობების აღდგენაზე არც კი ფიქრობს.

ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ დეპუტატებიც, მაგრამ ისინი ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ. რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციამ "საერთაშორისო გამჭვირვალო-

თლიანობის აღდგენისთვის. ახლა ამის გაკეთება მის გარეშე მოგვიწევს. მე აფხაზებთან მივაღწიე, რომ ქართველის მკვლელი 1 თვეში დაესაჯათ და

ჩვენ ატეგოჩიუტად მოვითხოვთ ხეღისუფღებისგან, hომ სუღხანის წამებაში მონაწიღეობჹნენ. მათი ვინაობა მოღაშვიღმა ახაეხთხეღ ღაასახე<u>ი</u>ა. ვიცი, hmმ ეს საქმე ჩვენი საზოგაჹოებისთვის ძაღიან hეზონანსულია, ეს თემა მ<sub>ტ</sub>აივნეულია ნამჹვიღი ოპოზიციისთვისაც. ამიცომაც ყვეღას მოვუწოდებთ, შემოუეხთჹეს ჩვენს აქციას. ხაც უფხო მეტნი ვიქნებით, მით უფხო ჯახგად

ქუჩას მისი სახელი ეწოდოს.

მოლაშვილზე განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას იმიტომ ვამახვილებ, რომ ის ჩვენს პარტიაში იყო გაწევრიანებული, საფრანგეთიდან აპირებ-და ჩამოსვლას, რომ ბრძოლაში ჩართულიყო.

ჩვენ ერთად ვაპირებდით, გვებრძოლა სამარ-

ბა – საქართველომ" გამოაქვეყნა კვლევა, სადაც ვნახეთ, რომ 29 დეპუტატს ხმა საერთოდ არ ამოუღია. დეპუტატის მოვალეობაა პრობლემებზე საუბარი და არა ჭამა-სმა.

სამწუხაროდ, ჩვენმა პარლამენტმა ისე დაკარგა სახე, რომ იქ შესულ ადამიანსაც აფუჭებს. მაგალითისთვის ყაზბეგის მაჟორიტარ დეპუტატს მოგიყვანთ, რომლის სასარგებლოდაც მე მოვხსენი კანდიდატურა. სანამ დეპუტატი გახდებოდა, იდეალური ადამიანი იყო, მოხვდა თუ არა პარლამენტში, უარესობისკენ შეიცვალა. ხალხს მისი დანახვაც აღარ უნდა.

4 წლის წინ "ქართული ოცნების" ერთერთმა წევრმა ელისო ჩაფიძემ საინტერესო იდეა გააჟღერა. მან პირობა დადო, რომ პარლამენტში შესვლისთანავე მოამზადებდა კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, ამომრჩეველს პარლამენტიდან უვარგისი დეპუტატის გამოწვევის უფლება ექნებოდა. არც ეს დაპირება შეასრულა "ქართულმა ოცნებამ". დეპუტატებს 4 წელი კარგი ცხოვრება აქვთ გარანტირებული და ბიუჯე-ტის ხარჯზე "გულაობენ". ხელფასები და პრემიები აღარ ჰყოფნით, ბენზინსაც სახელმწიფოს ხარჯზე ისხამენ. საწვავის ხარჯვამ არნახული მასშტაბები მიიღო. აღარავინ უარყოფს, რომ დეპუტატები ამ საწვავს თავიანთი ოჯახის წევრებს ახმარენ და ყიდიან.

ამას ბოლო არასდროს მოეღება, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული. ჩვენ, პოლიტი-კური ძალები, უნდა შევთანხმდეთ, რომ დეპუტატებს აღარ ექნებათ არანაირი პრივილეგიები, ხელფასიც სერიოზულად შეუმცირდებათ და იმუნიტეტიც მოეხსნებათ. დეპუტატი არის ჩვეულებრივი ადამიანი და მან თუ დანაშაული ჩაიდინა, პასუხიც უნდა აგოს. სამართალდამცავებს მისი დაკავების უფლება უნდა ჰქონდეთ. პროკურატურას უპრობლემოდ უნდა შეეძლოს დეპუტატის დაკითხვა. თუ ეს წესი არ დაინერგა, საქართველოში სამართალი არასდროს იქნება. სამწუხაროდ, ამ კუთხით არც არსებულმა ხელისუფლებამ გამოიჩინა თავი. მათ უარი თქვეს სამართლიანობის აღდგენაზე.

– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს? იქნებ

არჩევნებისთვის გააქტიურდნენ.
— იგივე სულხან მოლაშვილის საქმე. მისი გარდაცვალება იყო ნამდვილი მკვლელობაა. ის უფრო უბედურად მოკლეს, ვიდრე ოთხოზორია. სულხანი 12 წელი ეწამა. ნაციონალები თავის თავს არ დასჯიდნენ, მაგრამ 4 წლის განმავლობაში არც "ქართულ ოცნებას" უცდია ამის გაკეთება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ისინიც ნაციონალების თანამონაწილეები არიან.

სულხანი რომ დაიღუპა, ხელისუფლების წარმომადგენლები ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ. დამნაშავეების დასჯის პირობა გიორგი კვირიკაშვილმაც დადო. ეს ხმამაღალი განცხადება მხოლოდ ხალხის დასაწყნარებლად გაკეთდა, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ჯერ არავინ დაუკითხავთ. ეტყობა, იმედი აქვთ, რომ ხალხს მიავიწყდება. დამიჯერეთ, არ მიივიწყებენ, სულხან მოლაშვილი ჩვენი მოსახლეობისთვის არის უსამართლობასთან ბრძოლაში დაღუპული ადამიანის სიმბოლო. მე გამოვდივარ ინიციატივით, რომ თბილისში ერთ-ერთ ამ ხელისუფლებასაც ვაიძულებთ დამნაშავეების

სულხანის გარდა, უამრავი ადამიანი აწამა დამნაშავე რეჟიმშა. პოლიტპატიმრობის მუხლით ვინც გამოვიდა გარეთ, 5 მათგანი გარდაიცვალა. ჯანმრთელობა ყველას შერყეული აქვს. ციხეში ვისაც მოუხდა ყოფნა, ყველა დააავადმყოფეს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხალხს წართმეული ქონება არ დაუბრუნეს. ახლა უნდათ, ხმაც არ

– ხელისუფლებას აღუდგენელი სამარ-თლიანობის გამო სხვებიც საყვედურობენ. "ქარ-თული ოცნებაც "ნანობს ამას და ყველაფერს თავს *მოხვეულ კოაბიტაციას აბრალებენ.* – მთელი უბედურებაც ისაა, რომ კოაბიტა-

ცია მოიხვიეს თავს. ეს ამერიკელების მოთხოვნა იყო. ხელისუფლება მაშინვე დამორჩილდა მათ ნებას. სამწუხაროდ, ვაშინგტონი წყვეტს, ვინ დაისაჯოს და ვინ — არა. ახლა გეკითხებით, რითია ამერიკა რუსეთზე უკეთესი? კი ბატონო, რუსეთი ოკუპანტია და მან ჩვენი ტერიტორიები წაილო, მაგრამ ამერიკის საქციელს რა ჰქვია? ამერიკაც ოკუპანტია, მან ჩვენ სამართალი წაგ-

ხელისუფლებას არ აქვს იმის უნარი, რომ ამერიკას წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომაც მოსახლეობის ყურადღება სხვადასხვა თემაზე გადააქვთ. ამან იმსხვერპლა სწორედ საწყალი მოლაშვილი. ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან სხვებიც. დიდი უბედურებაა, რომ გიჭერენ და გაწამებენ, მაგრამ უფრო საშინელი ისაა, 4 წელი სამართალს რომ ვერ იპოვი. ასე თუ გაგრძელდა, ხვალ ჯავრისგან შესაძლოა სხვასაც გაუსკდეს გული. ჩვენ ხელისუფლებას არ მივცემთ იმის უფლებას, რომ უსამართლობის განცდამ კიდევ ერთი ადამიანი შეიწიროს. "ქართულ ოცნებას ვაიძულებთ, სამართალი აღადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ჩვენ გავაკეთებთ.

- თქვენი აზრით, სამართლიანობის აღდგენა ასეთი მარტივია?

მარტივი არ არის, მაგრამ მონდომებაა მთავარი. ამ ხელისუფლებას რომ მოენდომებინა, ხალხი გაგებით მოეკიდებოდა. სამწუხაროდ, მათი მხრიდან სამართლის აღდგენის მცდელობაც კი არ ყოფილა.

თავი დავანებოთ სამართლიანობის აღდგენას, იმ ადამიანებს მაინც რატომ აწინაურებენ, რომლებიც მთელი 9 წელი დანაშაულს ჩადიოდნენ და ხალხს ამწარებდნენ. არ მითხრან, რომ საქართველოში არ მოიძებნება ნორმალური კადრები, რომლებიც ჯალათებზე უკეთესები იქნებიან? იმას არ ვამბობ, რომ ვინც ნაციონალების დროს მუშაობდა, ყველა უნდა გაყარონ, მაგრამ დამნაშავეებს მაინც ნუ დააფარებენ ხელს. დღეს "ქართული ოცნება" ნაციონალების ნამოქმედარის "გაპრავებაზეა" გადასული. ისეთი პოზა უჭირავო, თითქოს ვერაფერს ხედავენ და არაფერი ესმით. ამ პოზაში თუ გააგრძელებენ ყოფნას, ხალხი აუცილებლად დადგება ფეხზე.

საეჭვო კავშირები სხვა საკითხებშიც ვლინდება. თქვენ რა გგონიათ, ერთმანეთის გარეშე ატარებენ რეიტინგულ კვლევებს? შეთანხმებულები არიან და წინასწარ გვაჩვევენ იმ ფაქტს, რომ პარლამენტში მხოლოდ ესენი გაიყოფენ ადგილებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს ისე ძალიან უნდათ პარლამენტში მოხვედრა, იმასაც აღარ იმჩნევენ, ნაციონალებმა დამნაშავეები რომ დაასახელეს მაჟორიტარებად.

– ვისზე საუბრობთ?

– ყოფილ დეპუტატ ბადრი ბასიშვილზე, რომელიც ნაციონალებმა გორის მაჟორიტარად წარადგინეს. მას ჰყავდა დამრბები რაზმი, რომე ლიც ოპოზიციის მიტინგებს არბევდა. ამაზე 2009 წლიდან საუბრობენ. ბასიშვილის მიერ მიტინგების დარბევას ის ხალხი აპროტესტებდა ყველაზე მეტად, რომლებიც ახლა პარლამენტში სხედან.

ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლა 2011 წლის 26 მაისის დარბევის შემდეგ გადაწყვიტა. იმ აქციის ერთ-ერთი მარბიელი ბასიშვილიც იყო. ამაზე მაშინ ბევრს საუბრობდნენ ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ მას და საქმის აღძვრით ემუქრებოდნენ

მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, ბასიშვილი საერთოდ დაივიწყეს. როცა ნაციოანლებმა ის დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, მეგონა, ერთ ამბავს ატეხდნენ, მაგრამ ხმაც

"ქართულ ოცნებაში" ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც მთელი 9 წლის განმავლობაში ხმას არ იღებდნენ. ამ პერიოდში არც პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს ამოუღია ხმა. ბევრი მეოცნებისგან განსხვავებით, მე ხშირად ვესწრებო-ღი აქციებს და უსამართლობას ვაპროტესტებდი.

– თქვენ სამართლიანობის აღდგენის რაი-მე მექანიზმი შემუშავებული გაქვთ?

– ამისთვის, პირველ რიგში, მონდომებაა საჭირო. ჩვენ გვაქვს ამის სურვილი და გავაკეთებთ კიდევაც. აფხაზებთან მივალწიე შედეგს დამნაშავესთან ბრძოლაში და არც აქ გამიჭირ-

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნაციონალების დროს დაპატიმრებულებისა და ქონებაჩამორთმეულების საქმეები ხელახალი გამოძიებისთვის პროკურატურას გადაეცეს. ყველანაირად ვეცდებით, მკვლელები თავისუფლად არ დადიოდნენ. იმასაც ვეცდებით, ეს დამნაშავეები ქვეყნიდან არავინ გააპაროს, როგორც ახლა ხდება.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– იმის, რომ ამა თუ იმ დამნაშავე ნაციონალზე საქმეს რომ აღძრავენ, წინასწარ აფრთხილებენ, ქვეყნიდან გასვლა მოასწროს. როცა ის პირი ქვეყანას დატოვებს, მერე ატეხენ ამ საქმეზე ერთ ამბავს. აბა, გადახედეთ საქმეებს, იმ ხალხის უმეტესობა გაქცეულია, ვისზეც საქმეა აღძრული. ყველამ წინასწარ როგორ გაიგო ამის შესახებ და თავს უშველა? ამერიკული მონობისგან უნდა გავთავისუფლდეთ.

– რატომ ფიქრობთ, რომ ამერიკის მონობაში ვართ?

– როგორც უკვე გითხარით, ამერიკა გვიშ-ლის ხელს სამართლიანობის აღდგენაში. ნაციონალები მათი დავალებების უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ და ყველანაირად იცავენ მათ. ვაშინგტონის ნებართვის გარეშე დაკითხვაზეც კი ვერ იბარებენ ვერავის. მონობა სხვა კი არაფერია. ჩვენ კი სამართლიან და თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა.

სანამ სამართლიანები და თავისუფლები არ ვიქნებით, ვერც აფხაზებს დავიბრუნებთ და ვერც ოსებს. პატივსაცემი თავისუფალი და სამართლიანი ადამიანია. სამართლიანობით აფხაზებმა ნამდვილად გვაჯობეს. აქ სულხან მოლაშვილის მკვლელები რესტორნებში თავისუფლად ქეიფობენ, გიგა ოთხოზორიას მკვლელს კი აფხაზებმა პატიმრობა მიუსაჯეს.

# **9**2P&W92-92P23929

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯი შებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდებ მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდე ია ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგა იზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სის ხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

ู้บ่าองๆตัวขา **ช**ูสุดกับ ขั้งษัตวบา. บิธีสุงยา ตั้ง ᲔᲤᲔᲥᲒᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ 1-ᲓᲐᲜ 25 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა 

**577-29-37-41**, 247-58-83





# Ს.Ს.Ი.Პ – ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

#### ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებ ლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

- 1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
- 2. მისამართი/ტელეფონი

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

- 3. ელ–ფოსტა
- Licenziebi2015@gmail.com 4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

- სალიცენზიო პირობები მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
  - ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს

წინასწარ წიაღით შედგენილი სარგებლობის პროექტის მიხედვით.

გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე ნელინადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5

ლიცენზიის მფლობელმა შეასგ) რულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" წიაღით შესაბამისად, ქვეპუნქტის

სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან

ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების შემთხვევაში შეაჩეროს აღმოჩენის სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ლიცენზიის მფლობელი დ) <sup>¯</sup>სასარგებლო ¯ ვალდებულია წიაღიმოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო სეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებ სარგებლობისათვის ბუნებრივი რესურსით საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით პირობები, დადგენილი აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი

მოთხოვნები.

ლიცენზიის 6. სარგებლობის კონკრეტული ობიექტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რიყეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე "ენგური II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 207 500 83).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რიყეს მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი 161 909 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 16 190,9 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 81 155 ლარი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული თანხის საბოლოო გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

#### ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

- 1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
- 2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 /

3. ელ–ფოსტა Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის

მოპოვების ლიცენზია 5. სალიცენზიო პირობები მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით

ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ნიაღით სარ-

გებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარწიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს ბუნებრივი რესურსით აარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით პირობები, დადგენილი აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი

მოთხოვნები.

ლიცენზიის 6. სარგებლობის კონკრეტული ობიექტი

მუნიციპალიტეტი, სენაკის ნოსირის მიმდებარე ტერიტორია, "ნოსირის" სააგურე საგადო B+C1, (კატეგორია მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა ჯამური (ორივე უბანზე ერთად) - 185 400 მ3).

სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

სენაკის მუნიციპალიტეტი, ნოსირის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი 15 267 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

1 526,7 ლარი 10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა 🛨 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

7 834 ლარი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

მონაწილეობის აუქციონში მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 15 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 13 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

ლიცენზიის 13. სარგებლობის მოქმედების ვადა

20 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა აუქციონის უნდა განახორციელოს დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

- 1. საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
- 2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

- Licenziebi2015@gmail.com
- 4. სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ლიცენზია სალიცენზიო პირობები მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით

სარგებლობისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ წიაღით შედგენილი სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას "ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის საქართველოს მთვრობის შესახებ" 2013 წლის 24 დეკემბრის №366 გათვალისწინებული დადგენილებით მოთხოვნები.

გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახეპ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ"

საფრანგეთში ტურნირის ჩატარება 650 მილიონი ევრო დაჯდა. ყვე-ლა მონაწილე ნაკრებმა 8-8 მილიონი ევრო მიიღო, ხოლო პრემიალურ თანხებთან ერთად საპრიზო ფონდიდან სულ 301 მილიონი ევრო გაიცა.

მაგალითად, ჩემპიონატზე გამარჯვებულმა პორტუგალიის ეროვნულმა ნაკრებმა 25,5 მილიონი ევრო გამოიმუშავა. აქედან უპირობო შემოსავალმა 8 მილიონი ევრო შეადგინა (როგორც გითხარით, ეს თანხა მიიღო ჩემპიონატის მონაწილე ყველა ნაკრებმა).

ჯგუფურ ეტაპზე მიღწეული სამი ფრის სანაცვლოდ, პორტუგალიის ნაკრებმა თითოეულ მატჩში 500.000 ევრო მიიღო. მერვედფინალში გასვლით ნაკრებმა 1,5 მილიონი ევრო გამოიმუშავა, მეოთხედფინალში გასვლით – 2,5 მილიონი, ნახევარფინალში – 4 მილიონი, ფინალში – 5 მილიონი ევრო, ხოლო ტურნირზე გამარჯვებით კიდევ 3 მილიონი ევროთი შეივსო ბიუჯეტი.

იმ კლუბებმა, რომელთა ფეხბურთელებიც ევროპირველობაზე თა-მაშობდნენ, მიიღეს 150 მილიონ ევრო.

უეფამ სულ შემოსავლიდან სუფთა მოგება 830 მილიონი ევრო მიიღო, რომლიდანაც 600-ს უეფა 55 წევრ ქვეყანას დაურიგებს სხვადასხვა პრო-

ბარსელონასა და ნეიმარს შო-

რის ახალი კონტრაქტის საჯაროდ გა-

ფორმების თარიღმა გაურკვეველი ვა-დით გადაიწია. ამ ინფორმაციას კლუ-



ექტებისთვის.

ევროპის ჩემპიონატის მატჩები (ფინალის გამოკლებით) პირდაპირ ეთერში 6 მილიარდ ადამიანზე მეტმა ნახა, ფინალის მაყურებელთა აუდიტორია 300 მილიონი იყო. საოცარი მაჩვენებელი აქვს ინგლისი-ისლანდიის მატჩს – ინგლისში ამ შეხვედრას პირდაპირ ეთერში 15 მილიონმა ადამიანმა უყურა (ყველაზე დიდი მაჩვენებელი ინგლისისთვის ამ ჩემპიონატზე), ხოლო ისლანდიაში მოსახლეობის

სიმკაცრე იყო ჩემპიონატის მიმდინარეობისას. საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატის დროს 1.550 ადამიანი დააკავეს.

ამის შესახებ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბერნარ კაზნევამ პრესკონფერენციაზე განაცხა-

კაზნევის თქმით, ტურნირის დროს 1.550 ადამიანი დააკავეს. აქე-დან 891 საკანში ჩასვეს, 59 ადამიანს რეალური და პირობითი სასჯელი მიუსაჯეს, ხოლო 64 ქვეყნიდან გააძევეს.

# USJIMON MPCCEONCELL 39 ᲡᲞᲝᲠᲒᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲬᲐᲠᲦᲒᲔᲑᲐ

საბოლოოდ გაირკვა, რომ რიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო 39 სპორტსმენით წარდგება. ბოლო ლიცენზია მიიღო სიმაღლეზე მხტომელმა ვალენტინა ლიაშენკომ.

ლიცენზიანტთა შორის არის სპორტის 13 სახეობის წარმომადგენელი: 8 ძიუდოისტი, 6 თავისუფალი სტილის მოჭიდავე, 5 ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდა-5 მძლეოსანი, 3 ძალოსანი, 3 მშვილდოსანი, 2 ტყვიის მსროლელი, 2 მოცურავე, 1 მხატვრული ტანმოვარჯიშე, 1 ბატუტზე მხტომელი, 1 მოფარიკავე, 1 კანოისტი და 1 ჩოგბურთელი.

5-21 აგვისტოს რიოში სპორტის 28 სახეობის 42 დისციპლინაში მედლების 306 კომპლექტი გათამაშდება და სულ 10.903 სპორ-ტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

ახლა კი გაგაცნობთ ქართველ სპორტსმენთა განრიგს:

#### მშვიღღოსნობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 128 სპორტსმენი: 64 კაცი და 64 ქალი. გათამაშდება მედლების 4 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: ხანარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, იულია ლობჟანიძე;

#### ძიუჹო

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 386 სპორტსმენი: 231 კაცი და 155 ქალი. გათამაშდება მედლების 14 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ), ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ), ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ), ბექა ღვინიაშვილი (100 კგ), ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ).

#### ცუhვა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 900 სპორტსმენი. გათამაშდება მედლების 32 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები:ირაკლი ბოლქვაძე, თეონა ბოსტაშვილი;

#### ტყვიის სხოლა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 357 სპორტსმენი: 214 კაცი და 143 ქალი. გათამაშდება მედლების 15 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: ნინო სალუქვაძე, ცოტნე მაჭავარიანი;



#### დახიჯაობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 212 სპორტსმენი: 106 კაცი და 106 ქალი. გათამაშდება მედლების 10 კომპლექტი;

**ქართველი ოლიმპიელი:**სანდრო ბაზაძე

#### ჩოგბუხთი

შეჯიბრების ინდივიდუალურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 128 სპორტსმენი: 64 კაცი და 64 ქალი, გარდა ამისა – ქალთა და კაცთა 16-16 წყვილი. გათამაშდება მედლების 5 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელი: ნიკოლოზ ბასილაშვილი;

#### ძაღოსნობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 260 სპორტსმენი: 156 კაცი და 104 ქალი. გათამაშდება მედლების 15 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: რაულ ცირეკიძე (94 კგ), ლაშა ტალახაძე (+105 კგ), ირაკლი თურმანიძე (+105

ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს დამატებით 1 ლიცენზია გამოუყოს, რაც საბოლოოდ 18 ივლისს გაირკვევა.

#### ბაჟუჟზე ხჟომა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 32 სპორტსმენი: 16 კაცი და 16 ქალი. გათამაშდება მედლების 2 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელი: ლუბა გოლოვინა;

#### მძღეოსნობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს **2.000**-მდე სპორტსმენი. გა-

თამაშდება მედლების 47 კომპლექ-

ქართველი ოლიმპიელები: დაით ხარაზიშვილი (მარათონი), ბაჩანა ხორავა (სიგრძეზე ხტომა), ლაშა თორღვაიძე (სამხტომი), ბენიკ აბრამიანი (ბირთვის კვრა), ვალენტინა ლიაშენკო (სიმაღლეზე ხტომა);

#### ბეჩძნუტ-ჩომაუტი ჭიდაობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 116 სპორტსმენი. გათამაშდება მედლების 6 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: შმაგი ბოლქვაძე (66 კგ), (ზურაბ დათუ-ნაშვილი (75 კგ), რობერტ კობლიაშვილი (85 კგ), რევაზ ნადარეიშვილი (98 კგ), იაკობ ქაჯაია (130 კგ);

# ჯანოე (სპhინ<sub>ტ</sub>ი)

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 246 სპორტსმენი: 158 კაცი და 88 ქალი. გათამაშდება მედლების 12 კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელი: ზაზა ნადირაძე;

#### მხაცვხული ცანვახჯიში

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 96 სპორტსმენი ქალი. გათა-

მაშდება მედლების 2 კომპლექტი; ქართველი ოლიმპიელი: სალო-

#### თავისუფაღი ჭიჹაობა

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 116 სპორტსმენი კაცი. მათ შორის გათამაშდება მედლების **6** კომპლექტი;

ქართველი ოლიმპიელები: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ), ზურაბ იაკობაშვილი (65 კგ), იაკობ მაქარაშვილი (74 კგ), სანდრო ამინაშვილი (86 კგ), ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ), გენო პეტრიაშვილი (125 კგ);

# ბის სპიკერი ჟოზეპ ვივესი ადასტუთავდაპირველი ინფორმაციით, ნეიმარის მიერ კონტრაქტზე ხელმო-

ᲡᲐ**ᲒᲠᲐᲜᲡ**ᲤᲔᲠᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

წერის საჯაროდ დასმა პარასკევს, 15 ივლისს უნდა მომხდარიყო, თუმცა იმის გამო, რომ ფეხბურთელი ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებთან შეკრებაზე მიემგზავრება, ეს ლონისძიება გადაიდო. ჟოზეფ ვიპესი:

— ღონისძიება იმის გამო გადა-იდო, რომ ნეიმარი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ორშაბათს უნდა იყოს და გადავწყვიტეთ, ხანგრძლივი ფრენის წინ, კონტრაქტის გაფორმება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან ყველაფერი ოფიციალურად უკვე მოგვარებულია. ამას სხვა დროს ვიზამთ.

ბარსელონას თურქი ნახევარმცველი არდა თურანი, მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელია. გალათასარაის, ფენერბაჰჩეს, არსენა-ლისა და ჩელსის შემდეგ, 29 წლის ფეხბურთელით ტურინის იუვენტუსიც დაინტერესდა.

გავრცელებული ინფორმაციით, იუვენტუსს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი პოლ პოგბა ტოვებს და "ბებერი სინიორას" ხელმძღვანელობას მისი შემცვლელის მოძებნა სურს.

იმ შემთხვევისთვის, თუ პოგბა იუვენტუსში კიდევ ერთი წლით დარჩენაზე დათანხმდება, ტურინელებს არდას არენდით აყვანა და გამოსყიდვის უფლების დატოვება სურთ. ხოლო თუ პოგბა მიმდინარე ზაფხულშივე წავა, მაშინ "ბებერი სინიორა" თურანის პირდაპირ ყიდვას შეეცდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ტურინელები მზად არიან ბარსელონას 30 მილიონი ევრო გადაუხადონ.

ფეხბურთელს უკავშირებენ:

ტურინელებს კიდევ რამდენიმე



მარკო პიაცა ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელია. ჯუზეპე მარო-ტამ ზაგრების დინამოს ხელმძღვანელობასთან ტრანსფერის დეტალები მოაგვარა, შეთანხმებულია პირადი კონტრაქტის დეტალები ფეხბურთელთანაც. ხორვატები ნახევარმცველის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს მიიღებენ, 5 მილიონი კი მათ ანგარიშზე ბონუსის სახით ჩაირიცხება.

ჯერჯერობით უცნობია, როდის აივლის სამედიცინო შემოწმებას 21 

კვლავინდებურად აქტიურია სანჩესი და გონსალო იგუაინი. ტურინული კლუბის ფანები დღემდე ოცნებობენ არგენტინელ ფორვარდზე, რომელსაც ნეაპოლიტანური კლუბის მესვეურებთან იდეალური ურთიერთობა

არა აქვს. შანსი ყოველთვის არის, მაგრამ იგუაინი ძვირად ფასობს.

მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი, ვალენსიას ფეხბურთელ ანდრე გომეშის სანაც-ვლოდ **65** მილიონს ჩამოდის.

გეტყვით, რომ რეალმა ალვარო მედრანი ვალენსიელებს დაუთმო და ახლა მედრანთან ერთად მხარეებმა გომეშის "ბლანკოსში" გადასვლის საკითხზეც მიაღწიეს შეთანხმებას და პორტუგალიელი მადრიდულ გიგანტს 65 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუ-

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# **ᲗᲔᲗᲠᲘᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲪᲝᲚᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ** ᲓᲐᲐᲭᲠᲐ, Ს**ᲒᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲐᲛᲐ**ᲙᲐᲪᲘ ᲙᲘ ᲛᲝᲙᲚᲐ

გარდაცვლილის ახლობლების ინფორმაციით, 10 ივლისს, ღამით, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხაიშში მამაკაცმა საკუთარ ცოლს ყურები დააჭრა, სტუმრად მყოფი მამაკაცი კი, რომელიც მის ცოლს გამოესარჩლა,

ამის შესახებ ნეტგაზეთს მოკლულის ნათესავმა გულიკო პაკელიანმა განუცხადა. მისივე ცნობით, მკვლელობაში ბრალდებული იმავე სოფელში მცხოვრები ზ.ს. არის, რომელიც თავდაპირველად მიმალვაში იმყოფებოდა.

შსს-ს ცნობით, ბრალდებული უკვე დაკავებულია. გულიკო პაკელიანის თქმით, მეზობლების ინფორმაციით, ზ.ს. საკუთარ ცოლს სცემდა და სახლიდან გამოსვლას უკრძალავდა. მისივე თქმით, ახლა ცოლი საავადმყოფოშია და მკურნალობს.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა), 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და მე-11 პრიმა მუხლით (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის).

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ დრომდე მეტ დეტალებზე არ საუბრობენ, მათ არც დაკავებულის ვინაო-ბის შესახებ მოუწოდებიათ ინფორმაცია.

მოკლულ მამაკაცს ცოლი და 5 შვილი ჰყავდა. მოკლულის მამიდაშვილი ნეტგაზეთთან ამბობს, რომ თავად ზ.ს-მ წაიყვანა დასალევად თავის სახლში მისი ბიძაშვილი, კ.პ., რომელსაც სამსახური ახალი დაწყებული ჰქონდა და ზ.ს.-მ სწორედ ამ ამბის აღნიშვნა შესთავაზა.

იგი ვარაუდობს, რომ ზ.ს. ცოლს სცემდა, რა დროსაც შუაში ჩადგა კ.პ. და მისი ცოლი დაიცვა. როგორც მოკლულის ნათესავი ამბობს, სწორედ ამ დროს მოკლა ზ.ს.-მ კ.პ. მისივე ინფორმაციით, მკვლელობა განსაკუთრებული სი-სასტიკით მოხდა, ვინაიდან, როგორც ბრალდებულის ცოლს, ასევე კ.პ-ს ყურები აქვთ დაჭრილი.

ნეტგაზეთი

# ᲡᲝᲭᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ ᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲘᲙᲔᲠᲐ

საქართველოს მოქალაქემ, რომელიც სოჭში მიგრაციული კანონმდებლობის დარღვევისთვის არის დაკავებული, პირი გაიკერა. ამ გზით მან სამშობლოში დეპორტაცია გააპროტესტა.

რუსული მედიის ცნობით, 23 წლის საქართველოს მოქალაქე 15 ივნისს რუსეთის საზღვარზე დააკავეს, სადაც ის სოხუმიდან დოკუმენტების გარეშე ჩავიდა.

დაკითხვაზე დაკავებულმა განაცხადა, რომ რუსეთში "უკეთესი ცხოვრებისთვის" აპირებდა ჩასვლას.

მოგვიანებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სასამართლომ მისი რუსეთიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო.

მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქე ამჟამად დისპანსერშია მოთავსებული. მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

ინტერპრესნიუსი



# ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარ-დვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკოშანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულე-მანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულე-ბის მოხსნა. "თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ᲛᲘᲡ.: ᲛᲔᲢᲠᲝ "ᲓᲘᲓᲣᲑᲔ", ᲡᲐᲛᲗᲝ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, 1-ᲚᲘ ᲡᲐᲠᲗ, ᲙᲐᲑ. Ნ **★ 599-90-54-78, 234-02-38** Ქ-ᲜᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ

# გეოეზა მეს - გოსგანეთს $^{ ext{L}}$ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ

ბრიტანეთს ახალი პრემიერი ჰყავს. ამ პოსტს შინაგან საქმეთა მინისტრი ტერეზა მეი დაიკავებს.

ბრიტანეთის ამჟამინდელმა პრემიერმა დევიდ ქემერონმა განაცხადა, რომ სიამოვნებით დაუთმობს პოსტს მეის. უკვე ამ ოთხშაბათს ქემერონი მეის კანდიდატურას დედოფალს ოფიციალურად გადასცემს დასამტკიცებლად, თუმცა ეს მხოლოდ ცერემონიაა. პარლამენტი, სადაც უმრავლესობას კონსერვატორები შეადგენენ, ტერეზა მეის მხარს დაუჭერს, შესაბამისად, უკვე ოთხშაბა-თიდან ინგლისს ახალი პრემიერ-მინისტრი, ტერეზა მეი ეყოლება.

– ამ მომენტისთვის ეს ყველაზე კარგი კანდიდატუ**-**– აცხადებს ქემერონი.

ტერეზა მეი 1956 წელს დაიბადა, დაამთავრა ოქსფორდი. პოლიტიკურ მოღვაწეობას 1992 წლიდან ენევა, როცა კონსერვატიული პარტიის სიით პარლამენტში კენჭი იყარა. მცდელობა იმხანად მარცხით დასრულდა და ის დეპუტატი ვერ გახდა. შემდგომში მეის კონსერვატორთა ჩრდილოვან მინისტრთა კაბინეტში გარკვეული პოსტები ერგო, შემდეგ კი თემთა პალატაში აირჩიეს.

მეიმ მხარი დაუჭირა ერაყში ბრიტანული არმიის გაგზავნას. 2010 წლის არჩევნების შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა.

ეს პოსტი მან მთელი ექვსი წლის მანძილზე შეი-

მინისტრი მეი არ გამოირჩეოდა ექსცენტრიული ქცევით, იცვამდა სადად, არ ახასიათებდა პოპულიზმი. მისი რიგი გამოსვლა ზოგიერთ ლიბერალს შოკს ჰგვრიდა. მეი არ მალავდა, რომ არ მოსწონდა გეი-პარადები, რომ მისთვის მიუღებელია ისეთ თემებზე საუბრები, როგორებიცაა ცისფერების უფლებები და ა.შ.

– ჩემთვის წმინდათა წმინდაა ტრადიციული ღირე**-**



ბულებები, როგორებიცაა ოჯახი, ეკლესია, – განაცხადა

მან მხარი დაუჭირა ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას. ზოგიერთი ექსპერტი იმასაც წერს, რომ ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგიც იყო და ამის გამო მაშინდელ პრემიერ ქემერონთან მწვავე დისკუსიებიც ჰქონდა. როცა ჟურნალისტებმა მეის ეს კითხვა დაუსვეს, მიუგო:

- მაპატიეთ, მაგრამ ეს ჩვენი შიდა პარტიული

როგორც მემარჯვენე-კონსერვატორების უმრავლესობა, მეიც პრინციპული და ენერგიულია. აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია იყოს ხისტი, არ ახასიათებს ინტრიგანობა, თამაში, კრიტიკულ სიტუაციებში არ ებნევა თავგზა, ამიტომაც ქვეყნის საჭე სწორედ მას

– ლიბერალების დრო წავიდა! არენაზე გამოდიან მემარჯვენეები, ისეთები, როგორიც მარგარეტ ტეტჩერი იყო, – თვლის ბრიტანელი ექსპერტი ჯეიმს კოლინზი.


# **ᲑᲘᲭᲝᲚᲐᲛ ᲒᲠᲐᲜᲦᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲚᲔ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ**

ქართველმა დიზაინერმა ბიჭო-ლამ თავისი მორიგი დაბადების დღე უკრაინის დედაქალაქში გადაიხადა. 28-ე დაბადების დღეზე დიზაინერმა წვეულება მოაწყო და უახლოესი მეგობრები დაპატიჟა.

"თეთრი ფართი" – ასე უნოდა თავის საღამოს ბიჭოლამ, სადაც უკრაინული ბომონდის წევრები მოხვდნენ. ქართველი დიზაინერის დაბადების დღე უყურადღებოდ არც ადგილობ-რივ მედიას დარჩენია. უკრაინულმა პრესამ გამოაქვეყნა ფოტოები მისი "თეთრი წვეულებიდან", სადაც სპეციოლურად მიწვეული სტუმრები შეიკ-

უკრაინელი მეგობრების გარდა, ბიჭოლამ დაბადების დღეზე დაპატიჟა მეგობრები საქართველოდან, რუსეთიდან, ინგლისიდან. "თეთრი ფართის" მთავარი მოთხოვნა ყველა სტუმრის თეთრ სამოსში გამოწყობა იყო.

სტუმრის სტატუსით ქართველი დიზაინერის დაბადების დღეზე საქართველოდან მიიწვიეს მოდელი კრის-



ტი ყიფშიძე, დიზაინერი დათუნა სულიაშვილი და ფოტოგრაფი ჯიჯი რეჯინი. მოსკოვიდან იუბილარ მეგობარს დიზაინერმა ალექსანდრე არუთინიანმა ჩააკითხა.

# **ᲐᲚᲣᲡ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ** ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲦᲒᲘᲚᲘ ᲦᲐᲘᲙᲐᲕᲐ

რიგაში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონკურსი პლუს ზომის ქალებისთვის. კონკურსში 25 ქვეყნის

სო კონკურსანტი გადაიყვანა. ფინა-ლისტებს შორის მოხვდნენ საქართველოს, ბელარუსის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, სინგაპურის, ნიდერლანდების, ბულგარეთისა და ლატვიის კონკურსანტები. რუსეთმა კონკურსში ორი კონკურსანტი წარადგინა.

რადგენდა დიზაინერი იულია მორგუნოვა. იულია წლებია მოდის ინდუსტრიაშია და სისტემატურად ინვევენ

გათხოვილი ქალი მონაწილეობდა. ფინალში ჟიურიმ 10 საუკეთესაქართველოს კონკურსზე წა-

<u>ᲨᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ</u>

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსკიუსაითი იის განეტე გადა ია ამ კა ტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმა-ტოიდული ართროზის, ანკილოზივური პონდილიტის, პოდაგრული ართრიტის 3ოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანე ბული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის ატრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალან-აება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. კურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ კუქისალის ბარაქიაცირ და ბარაქონაექა აახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარე-ული პრეპარატებით, წონის დარეგულირე-ბით, სისხლის მიმოქცევის ალგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და ეიიტეტის გახლიე ესიათ, მლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვე-ება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

სხვადასხვა სილამაზის კონკურსის ჟიურიში. ვინაიდან წელს ამ კონკურსისთვის კანდიდატის შესარჩევად დრო არ ეყო, ამ კონკურსში მონაწილეობა თავად გადაწყვიტა.

კონკურსის გამარჯვე-ბული გახდა სინგაპურელი ფიონა გაი სი მინა, მაყურებლის გამოკითხვით რჩეულად დასახელდა ანასტასია კოპტევა ნიდერლანდებიდან, პირველი ვიცე მისის ტიტული მოიპოვა იულია მორგუნოვამ საქართველოდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# "ᲕᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲒᲔᲦᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠᲐᲐ ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ"

უკრაინელებმა გაასაჯაროვეს პოლონურ-უკრაი-ნული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი 400-მდე საიდუმლო დოკუმენტი.

საუბარია მეორე მსოფლიო ომსა და ვოლინის ტრაგედიაზე, რასაც 150.000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ვოლინის ტრაგედია რუსული სპეცსამსახურების

მიერაა ინსპირირებული. ამ საქმეში რუსებს დიდად დაეხ-მარა უკრაინის რაიხსკომისარი ერიჰ კოხი, რომელიც



საბჭოთა დაზვერვაზეც მუშაობდა, – წერს პროფესორი პეტოო მიოჩუკი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერიჰ კოხი ინგლისელებმა საბჭოთა კავშირს გადასცეს. ფაშისტი სატრაპი ვარშავაში გაასამართლეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. უკრაინული ემიგრაცია ამტკიცებდა, რომ განაჩენი არ იქნა მოყვანილი სისრულეში. მართლაც, როცა საბჭოთა იმპერია დაინგრა, დადასტურდა, რომ ერიჰ კოხი ვარშავის ციხის საკანში 1986 წელს გარდაიცვალა. საკანში მას ჰქონდა ტელევიზორი, იღებდა საზღვარგარეთულ პრესას, საჭმელსასმელი მისთვის რესტორნიდან მოჰქონდათ. საკანში კოხს დაუფინეს ნოხი, მოიტანეს რბილი ავეჯი და ა.შ.

- რატომ არ იქნა სისრულეში მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი? რატომ შეუქმნეს კოხს ციხეში ასეთ პირო-ბები? სასამართლოზე ხომ დამტკიცდა, რომ კოხი 3 მილი-ონი ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე, — წერს პროფესორი სერგიიჩუკი.

დოკუმენტები, რომლებიც კიევში გაასაჯაროვეს, შეიცავენ როგორც საბჭოთა სუკის საიდუმლო მასალებს, აგრეთვე დოკუმენტაციას, რომელიც უკრაინული ეროვნუ-ლი მოძრაობის მაშინდელ ლიდერ მიკოლა ლებედს ეკუთვნოდა.

ამ საბუთებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ სასტიკ ხასიათს ატარებდა პოლონურ-უკრაინული დაპირისპირე-ბა 1942-44 წწ-ში. მოამზადა ნიკა თევზაძემ მოამზადა ნიკა თეგზაძემ

# **Ն**ԵԹԲՊՅԲՊՅԵՊՖՈ 13 ივლისისთვის

**3ერძი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავ-ლენას მოახდენს. **კურო** — დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი

შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგო-მარეობას ძალზე გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანთვე დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **გყუპები** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **ქჩრჩხჩბჩ** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მოსალოდნელია დიდი წარმატება ელოვნების სფეროში, ასევე კარგი პერი ია შვებულებ ში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად. ლოპი – დღეს განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მამაკაცებისათვის, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. სამაგიეროდ, ქალებს შესაძლოა ვინმემ მახე დაგიგოთ. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. **ქპლნშლი** – სასიცოცხლო პოტენციალი გიძლიერ-დებათ. ქალებს შესაძლოა სასიყვარულო ურთიერთობებში იმედი გაგიცრუვდეთ. მამაკაცებს წარმატება გელით კომერ-ციული საქმიანობისას. სასწორი — აუცილებლად გამონახეთ დრო და გაისეირნეთ ქალაქგარეთ. რეკომენდებულია ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშები. **ორიანქაოი** – ყურადღება გამოიჩინეთ კოლეგების მიმართ. საღამოს სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ, შესაძლოა ძვირფასი ნივთიც შეიძინოთ. მშ3ილლოსპნი — სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. ნებისმიერ დაბრკოლებას იოლად გადალახავთ. **ՊեՈს რქპ** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. მერნყული – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – მოსალოდნელია პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

გისუხვებთ ბეჹნიეხ ჹღეს!

# **ა**ხოსვოხჹი ბ

**შვეულად**: 1. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 3. უზენაესი სასამართლო ძველ ათენში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიტვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო კომპლექსი; 9. პირი ნავსადგურში, რომელიც გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას აკონტროლებს; 11. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. აეროპორტი პარიზში; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად**: 5. პირობითი სასჯელი; 6. გა-

უთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 13. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 15. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 20. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე ფარმაცევტი; 23. საქართველოში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, რესტავრირებული ქაშუეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 24. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი. შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

# წინა ნომეხში გამოქვეყნებუღი ახოსვოხდების ჰასუხები:

# პრ**ጦ**ს3ᲝᲠᲓᲘ ১

**შვეულად: 1**. "იტაიპუ"; 2. ზარზმა; 3. იუანი; 5. რომი; 6. ლაქშმი; 8. "ლინატე"; 11. ენციკლიკა; 13. ჰორაციო; 14. ჰელიოსი; 15. დემარში; 19. რელე.

**თარაზულად: 1**. ინკვიზაცია; 4. "სუფრული"; 7. აგუძერა; 9. ნებიერი; 10. ჩექმა; 12. სპარინგი; 16. ჰეროდოტე; 17. "იროკეზი" 18. "შინჰოფერი"; 20. კაქტუსი; **21**. ჩოხა; **22**. კონცერნი.

# პრᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ъ

**შვეულად: 1**. ციტატა; 2. ფერმერი; 3. გენლა-ინი; 4. "იტალიანა"; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; **11**. სეინერი; **12**. "ლელა"; 14. არნო; 16. კორონერი; **17**. პოინტერი; **19**. "გინესი"; 21. "სანტე".

**თარაზულად:** 5. კერატიტი; 6. "ტრავიატა" 7. მეტრეველი; 10. "ვიტესი"; 13. ბენონი; 15. პლანერი; 18. ხორავა; 20. ქორ-ქია; 22. "განდაგანა"; 23. ბროილერი; 24. "უტინოურა".

36036535

ოთხშაბათი 13 ივღისი

# 07.30 დ/ფ 08.00, 08.30, 09.00,

09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.20 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "BͲዋሬን & სირმხამილი" 12.30 ტ/ო "გაიმბს აგრძაბა 30 წლოში" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო 3ეტოინე**" 14.05 13.00 ტ/სერ. ჩინში აძლის ა 14.30 ან/სერ. "გუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "თოფ – გიარი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ბ¶რბ¶ "პა-რეჩის საიღაშოშაბ" 19.00 "კომუნი ააგორი" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქორჩჩის საჩლმლობაა" 19.00 "კიძუხი-კატორი" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქო-ვანთან ერთად" 21.30 ტ/სერ. "პიმიშ-საგის მოტალი" 22.30 მა/სერ. "პიმიშ-ჯონსის ფლიშარ- გონიშატანის ზლმა-რი" (რ. ზელვეგერი) 00.30 მა/ც "მშიპ" (რ.გირი) 02.40 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 03.10 "სანმოკლე XX საუკუნე"

08.00, 12.00, 14.00, 19.00,

21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გე-ოფაქტორი" 10.15 დ/ფ "ჩერჩილის გამონვევა" 13.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 17.00 "პოლიტალტერნატი-ვა" 18.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 22.00 დ/ფ "სკეიტბორდის ისტო-რია" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "ზმბნზმბპრიში მბლატი-

**05.00** სერ. "**Და৮ურული** 

სპოლა" 06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 22.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმელის დილა 10.05 სერ. "ბამბის ვალი" 11.20 სერ. "შშშონბი" 8 სერ. 12.30 დოეს შოუ 17.35, 19.03 სერ. "პამბიბპლი" 20.55 სერ. "პლიფი" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "ნმბარვბის შამი" (ე.ბანა) 02.45 მინ/სერ "የთხი სტიქის ალძავაში" 4-5-6 სერ.

**06.30** სერ. "**Დაკარგულበ** 

აპშშობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "ജᲘნასბის" 12.30, 14.05 "შუ» დღე "15.55 სერ. "მარპფაი - ახალპაზრფობა" 16.55 სერ. "ინფუპის საბა" 18.45 სერ. "მარშაშამი "19.45, 20.05 სერ. "მანი ზოფისპოს ფაგო 145, 20.05 სერ. "მანი ზოფისპოს ფაგო 22.00 სერ. "ხალო3-ნუპის საბა" 22.00 სერ. "ხალო3-ნუპის სანის 10.00, 03.30 ას/ფ. 03.00 კურიერის დაიფესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლა-

ვური ომები" - მეამბოხეები 9.00, 19.30 ვური ომები" - მეამბოხეები 9.00, 19.30 სერ. "მანბალისტი" 10.00, 18.30 სერ. "პარპი ცოლი" 11.00, 3.20 სერ. "პარპი ცოლი" 11.00 სერ. "პარპი ცოლი" 13.00 სერ. "ძალაბი" 15.00 შუადღე 17.30 სერ. "მასზი ცო მამა 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "სამთშო პარის თამაშთში" 0.00 სერ. "საშინალი ზლაპინაზი" 1.30 მხ/ფ "ფამალობანბ"

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის

ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "კანთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დ/ფ "მცხეთა ნმინდა ქალაქი-სვეტიცხოველი" 11.05 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები ნუთისოფლისა 12.10 დია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადიე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა 15.00 საეგლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.20 ღვთის სახლი 15.45 დ/ფ "მცხეთა მეორე იერუსალი-მი" 16.45 კონცერტი "ერისიონი" 17.30 ძველი ალიქმის ნინასწარემტკველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალიქმის ნინასწარემტკველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალიქმის შინასწარემტკველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალიქმის შებისა "შელტ კონცერტი" 21.05 პატრიარების "კალტ კონცერტი" 21.05 პატრიარების ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაგი 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღიმოს ლოც-ვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დიდ ხარ შენ უფალო 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესსჩო 🕑 7.00, 10.00, 11.00, აეო. აгია-ജപ ისოპამი" 20.00 "კონ-ტაქტი რგაზე" 20.45 სერ. "მაზებშო-ნი" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტო-რი" 22.35 სერ. "სბპნისპ" 23.30 სერ. "ფოოილის მეთოლი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

# **ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ**

 გინვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

• იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრი-ლია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5\$; 593 50-16-08.

მკურნალობა • ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა "იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტო სურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლი ზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15

• ხანგრძლივიპრაქტიკულიდაკლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო "ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი

• ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

 მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვე-ბის აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლო ბით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-

კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შე-დეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

შასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეო ქონდოობის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლი ი ანოშალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# መንፀንሣ ሄተጋሀዓጋ: "ንሣን ፀይሠፀሀን" "ዓንሣወጋፌሀ **Ო**ᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ **ᲓᲔᲞᲣᲒᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ"**

"ჩვენი პრობლემა ისაა, რომ რუსეთს ყველა მტრად არ აღიქვამს

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოს ვარშავის სამიტის შემდეგ პევრს გაუჩნდა იმის მოლოდინი, რომ საქართველო გარკვეული ხნის შემდეგ ნატოს წევრი გახდება. არიან ასევე სკეპტიკოსები და აღამიანები, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლას ეწინააღმდეგებიან. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი თამარ ჩხეიძე "ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ამ საკითხში ერთსულოვნება ძნელად მისაღწევია.

თამარ ჩხეიძე: – ყველას არა აქვს გაცნობიერებული, რომ ნატო ნიშნავს ქვეყნის თავდაცვას. ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა გასაკვირი არ არის. ამ მიმართულებით ერთსულოვნე-ბას არც მოველი. არის თემა, რომელშიც ჩვენი ერთსულოვნება უფრო აუცილებელია. ესაა დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. საუბე-<u>დუროდ, საზოგადოებაში არსებობს</u> გარკვეული ნაწილი, რომელიც რუსეთს მტრად და ოკუპანტად არ თვლის. რუსეთისადმი ასეთი მიდგომა ვინმეს აჩემება და ახირება არ არის. რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი მიწა-წყალი. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

– ნატოს კურსისადმი ერთგულება დეკლარაციაზე ხელმოწერით დაადასტურეს პარლამენტის პარ-

– ეს სასარგებლოა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელმომწერი არ იქნებოდა გულწრფელი. პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები შემჩნეული არიან უპრინციპობასა და რუსეთისადმი ლოიალურობაში.

- პრორუსულად განწყობილი პირეპის ხელისუფლებაში ყოფ-ნა ცოტა ხნის წინ აღიარა საქარ-თველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგე-

- "ქართული ოცნებაში" ნამდვილად არიან ასეთი ადამიანები. მთლიანობაში "ოცნება" არაა დაპირისპირებული რუსეთთან. ივანიშვილის კავშირები რუსეთთან ცნობილია. საქმე ისაა, რომ ის ღიად ვერ ატარებს რუსეთის პოლიტიკას, მით უმეტეს მაშინ, როცა დასავლეთის ფაქტორი ასეთი ძლიერია. ხელისუფლებასა და "ქართული ოცნების" მოკავშირეებში არიან ადამიანები, რომლებიც უფრო გამოკვეთილად

უჭერენ მხარს რუსეთს.

— ზოგიერთ ექსპერტს იმის შიში აქვს, რომ რუსეთის მხარდამჭერები "ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში იქნებიან..

– არა მგონია, "ქართული ოცნების" სიაში ახლანდელ დეპუტაციაზე უარესი შემადგენლობა იყოს. ეს იქნება იგივე კატეგორიის ხალხი. საფრთხე გაიზრდება მაშინ, თუ "ქარ-თული ოცნების" ანტიდასავლური ჯგუფი მომავალ პარლამენტში გაერთიანდება სხვა ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან.

– როგორ ფიქრობთ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ამასწინდელი ვიზიტი უსაფრთხოების პრობლემებს უკავშირდებოდა?

– პირველ რიგში, ის უკავშირდებოდა უსაფრთხოების პრობლემებს. ამასთან, ეს იყო გაფრთხილება ხელისუფლების მიმართ. საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, იყოს დემოკრატიული, ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები და ხელი შეუწყოს თავისუფალ მედიას.

– იმდენი გაფრთხილება მიი-ლო ხელისუფლებამ, რომ არჩევნების გაყალბება გამორიცხულია?

- ლიად არჩევნების გაყალბება არც იყო მოსალოდნელი. ხელისუფლებას ბევრი ბერკეტი აქვს, რომ უპირატესობა მოიპოვოს. ის ამას

ხელიდან არ გაუშვებს.

— "ოცნების" ლიდერები დიდი
უპირატესობით გამარჯვებაზე საუბრობენ. ისინი ასახელებენ მომავალ პარლამენტში გასული დეპუტატეპის რიცხვს. ეს ციფრი **80-**დან 100-მდეა.

- ეს ციფრები ფანტასტიკის სფეროდანაა. ასეთი დიდი უპირატესობით "ქართული ოცნება" ვერ გაიმარჯვებს. ეს ციფრები სახელდება იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ივანიშვილს აქვს ასეთი ამოცანა. არაა გამორიცხული, რომ ასეთი დავალება რუსეთიდან მოდიოდეს.

– პრორუსულებად სხვა პარტიები ითვლებიან..

– დიახ. არსებობს ხაჩიშვილის პარტია, მაგრამ არა მგონია, რუსეთს ამ პარტიის იმედი ჰქონდეს. არიან ბურჯანაძისა და ინაშვილის ძალები. ღიად პრორუსულები არც ისინი არიან. განსაკუთრებით შეიცვალა რიტორიკა პატრიოტთა ალიანსმა, ის რუსეთის მიმართ ლოიალობის აფიშირებას ნაკლებად ახდენს. რუსე-



თისთვის უფრო ხელსაყრელია ფსონის დადება "ქართულ ოცნებაზე", რომელსაც აქვს პროდასავლური კა-

– ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს რეალობას უმალავენ და გარემოცვას მასთან გაფილტრული ინფორმაცია

გარემოცვას, ალბათ, მართლაც შელამაზებული ინფორმაცია მიაქვს მასთან. არა მგონია, რომ თავად ივანიშვილი იმის აზრზე არ იყოს, რაც ხდება. მისი ანალიზის უნარზე დიდი წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ არც ის მგონია, რომ ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდეს.

#### **Მ**ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ 97977625UPW3UPi

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲒᲘᲙᲣᲠᲘ **ᲡᲔᲜᲒᲠᲘ "ᲙᲔᲚᲐᲘ" ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ** ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜ **ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ**!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლე მები **(**პროსტატიტი, ადენომა, ცისტი ტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას); 2) პოტენციის დაქვეითება (რეპრო დუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარ ჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე); 5) ნერვული სისტემის მოწესრიგება

(ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები. ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲒᲐᲪᲘᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ! 🕿 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)

მისამართი: აღმაშენებლის **154.** "მწვანე ოფისი".

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

ცენტრი ქალაქ დმანისში იყო. მიწისძვრის სიმძლავრე 4,8 მაგნიტუდას

საქართველოში 14.14 საათზე მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპი-

ინფორმაციას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური

# მონიტორინგის ცენტრი ავრცელებს. სახალხო მკურნალი ლბმბრბ თოლუბ მოგირჩენთ სახის

კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.

შეადგენდა.

მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს. ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას ("იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠ**ᲞᲣᲡᲘ. **ტე**ლ.: 230 62 52; 599 16 10 82

# 

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ელმომა-สงลุกุอักษ์ บริปปรษฐศากษ์ สงคริงสิშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ ზაალ რუხაძეს საყვარელი დედის, ქალბატონი

**&**ᲐᲜᲘᲙᲝ (ᲮᲣᲒᲐ) ᲙᲐᲚᲘᲡᲒᲠᲐᲒᲔᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ-ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი: 12, 13 ივლისს, გორგასლის 39ა.

გამოსვენება: 14 ივლისს, 14 საათზე, მუხიანის წმ. მირიანისა და ნანას სახელობის ტაძრიდან.

<u>ᲡᲐᲛᲑᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮ</u>ᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, J3NANU ᲒᲐᲠᲓᲐ, 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.



ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

> აშშ დოლარი 2.3393

ინგლისური გირვანქა სტერლინგი 3.0128

2.5802

100 რუსული რუბლი — 3.6412



# **ന3**ന്നപ്പെട്ടാ

გოლესლევ ներն



क्रिक्रक

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ** ጋሐወንሮ 14 Ლንሐበ

# **ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲛ** ՈԵՈՖՈՖԵՄ **25 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ** გაღაისაღა

ბარსელონამ ლიონის ფრანგ მცველ სამუელ უმტიტიში 25 მილიონი ევრო გადაიხადა. უმტიტი

უკვე ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელია და ხუთშაბათს ის უკვე კატალონიის დედაქალაქში ჩაფრინდება.

პარასკევს უმტიტის ოფიციალურად წარადგენენ და ის კონტრაქტზე ხელს მოაწერს. ევროპის ჩემპიონატზე უმტიტიმ ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა ევროპის ჩემპიონატის მოგება ვერ შეძლო.

თვითონ უმტიტი ბარსელონაში ტრანსფერით ძალიან ბედნიერია და, მისი თქმით, ბარსელონა მსოფლიოში საუკეთესო კლუბია, სადაც მოხვედრაზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს.

# 3008 3090 37000 87930970 **ᲐᲠ Ა**ᲞᲘᲠᲔᲑᲡ

დიმიტრი პაიემ ევროპის ჩემპიონატზე თამაშით მრავალი გუნდის ყურადღება მიიპყრო. მისი შეძენის სურვილი მსოფლიოს ფეხბურთის რამდენიშე გრანდსაც კი გაუჩნდა, მაგრამ ვესტ ჰემი მის ადვილად დათმობას არ აპირებს.



ინგლისურმა კლუბმა განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც პაიეს შეძენის მსურველებს მინიმუმ 50 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.


ფრანგი ფეხბურთელის ყიდვა მადრიდის რეალსაც სურდა, თუმცა მას შემდეგ, რაც პაიემ ევროპის ჩემპიონატის ფინალში კრიშტიანო რონალდუს ტრავმა მიაყენა, მისი რეალში გადასვლის

შანსები გაცილებით მცირე გახდა. დიმიტრი პაიე ვესტ ჰემში 2015 წელს გადავიდა და მას შემდეგ ვესტ ჰემის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლება.

# ᲐᲚᲕᲐᲠᲝ ᲜᲔᲒᲠᲔᲦᲝ ᲛᲘᲦᲚᲡᲒᲠᲝᲨᲘ გაღაღის

ვალენსიის ფორვარდი ალვარო ნეგრედო მომავალ სეზონს, სავარაუდოდ, ინგლისური მიდლსბროს შემადგენლობაში დაიწყებს.

მიდლსბრო 7-წლიანი პაუზის შემდეგ პრემიერ ლიგაში დაბრუნდა და გუნდი უკვე აქტიურად ემზადება



მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი იყო, მაგრამ მაშინ მან იმედები ვერ გაამართლა და საბოლოოდ სამშობლოში, ესპანეთში დაბრუნება არჩია.

# ሐጋህᲚበ JEGWO CWASS **ᲦᲐᲘᲜ**ᲒᲔᲠᲔᲡᲦᲐ

მადრიდის რეალი კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას შეეცდება. ამჯერად მადრიდელების სამიზნე ვალენსიაში მო-

თამაშე პორტუგალიელი ნახევარმცველი ანდრე გომეშია, რომელიც რამდენიმე დღის წინ თავის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა.

ანდრე გომეშით იტალიური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ვალენსია მას მხოლოდ 60 მილიონ ევროდ შეელევა. რეალი მზად არის, ამ ტრანსფერში 65 მილიონი ევრო გადაიხადოს, ამიტომ, სავარაუდოდ, ვალენსია ამ წინადადებაზე უარს არ იტყვის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# სიდედრი სიძეს ეჩხუბება:

– ნეტა ვიცოდე რისთვის

უყვარხარ ჩემ გოგოს?!
– გაჩვენო?

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ისეთი ზარმაცი მამალი, მე რომ მყავს, მეორე არ იქნება. – რატომ?

– ისეთი ზარმაცია, დილით სხვა მამლები რო ყივიან, ეს თავს უქნევს თანხმობის ნიშ-

სიდედრი სიძეს ეუბნება: – ახალგაზრდობაში შეუხედავი ვიყავი, საშინელი ხასი-ათი მქონდა და ყველას ნერ-

ვებს ვუშლიდი. – წლებმა ვერაფერი დაგაკლოთ, დედა. ...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალებზე რა აზრის ხარ? – მობილური ოპერატორებივით არიან,

– ეგ როგორ?

– ან დაკავებულები არიან, ან მიუწვდომლები, ან შენ ანგარიშზე საკმარისი თანხა არ

ცოლი ქმარს ეუბნება: საყვარელო, მიყიდე რა ახალი მობილური ტელეფონი... — ფული არ მაქვს.

– მაშინ, ფეხსაცშელი მიყი-

– ხომ გითხარი, ფული არ მაქვს.

კევი მაინც მიყიდე, რომ გავჩუმდე.

ერთი დაქალი მეორეს ეკით-

– როგორია შენი ახალი მეგობარი ბიჭი?

– ნამდვილი გარყვნილია. – რაო, რა მოგთხოვა?

 ბეფსტროგანოვი გამიკეთეო.

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– უტვინო ქალები მოგწონს?

– რა თქმა უნდა, არა. – მწეველი და ლოთი ქალე-

არა, მასეთი რად მინდა. – ისეთები, საუზმის მომზა-

დებაც კი რომ არ იციან?
– არც ეგეთები.
– აბა, რას გადაეკიდე ჩემ
ცოლს, შე შობელძაღლო?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# **Ი**ᲕᲚᲘᲡᲘᲦᲐᲜ

ორჰან ფამუქი

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 8 ᲚᲐᲠᲘ





# თერთმეტი

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 8** ლაሐი

# **ᲒᲠᲔᲦ ᲞᲘᲢᲘ "ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ" ᲦᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲦᲐ**



ქართველი რეჟისორის რუსუდან გლურჯიძის ფილმმა "სხვისი სახლი" კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან-

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "სხვისი სახლით" ბრედ პიტი დაინტერესდა და რუსუდან გლურჯიძეს მისმა საპროდი-უსერო კომპანიამ თანამშრომლობა შესთავაზა.

ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გამოცემამ კი რუსუდან გლურჯიძის ფილმს "სხვისი სახლი" საკმაოდ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა.



# **ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

შემდეგ უკრაინის ნაკრების მთა-ვარმა მწვრთნელმა მიხაილ ფომენკომ თანამდებობა დატოვა და ჯერჯერობით უკრაინელე-ბი მწვრთნელის გარეშე არიან. გავრცელდა ინფორმა-

ცია, რომ უახლოეს მომავალში უკრაინის ნაკრებს ლეგენდარული ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო ჩაიბარებს.

15 ივლისს უკრაინის საფეხბურთო ფედერაცია სხდომას გამართავს, სადაც იტყვიან კიდეც ახალი მწვრთნელის სახელს. უკრაინაში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ეს

ევრო 2016-ზე ფიასკოს

ანდრეი შევჩენკო იქნება. შევჩენკოს მცირე სამ-წვრთნელო გამოცდილება აქვს, მაგრამ უკრაინელები მას მაინც

იმედიანად უყურებენ.

# **ჯ**ხოსვოხჹი ა

შვეულად: 1. თურქეთის ტერიტო რიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2 ბრიტანული ყველი; 3. გერმანელი მწერა ლი, "ბარონ მიუნჰაუზენის" თავგადასავ ლის ავტორი; 5. რკინის მადნიდან გამოდ ნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი 6. ქვის ხავსი; 8. რეგიონი კახეთში; 1 დოლი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლე ბათა გადალახვით; 13. თეთრი ფერის ძვე ლი ქართული სახელწოდება; 14. ძველბერ ძენი ფილოსოფოსი; 15. ხეხილის ბაღი; 19 იაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი ქარაში; 4. ხორბლის ქართული ჯიში; 7. -ე რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი 9. ბრიტანული ნამცხვარი; 10. მდინარ დუნაის ძველი სახელწოდება; 12. ძველ ბერძნული ენისა და ლიტერატურის მკვლე ვარი მეცნიერი; 16. ამერიკელი ჩოგბურ თელი ქალი; 17. ისტორიული ფსიქიატრი ული საავადმყოფო ლონდონში; 18. გასარ თობი თავსატეხი; 20. სტიბიუმის საბადი რაჭაში; 21. ბალტიისა და ჩრდილოეთი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნურ არხი გერმანიაში; 22. ყოველდღიური გა ზეთი ინგლისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

1				2		3			4		5	6	
7									8				
						9							
•		10	11										
							12						
	13					14							15
								16					
17													
					18						19		
			20										
21								22					